

**საბარელ-ეკონომიკური  
ეაცნოებების  
და  
ტექნოლოგიები**

**№3**

**თბილისი  
2018**

ბრძანელ-ეკონომიკური  
ააცნოებება  
და  
ტექნოლოგიები



ISSN 1987-6335

**სამრარტულ-ეკონომიკური  
მეცნიერება და ტექნიკური გიგანტი**  
**2018 №3(40)**

საერთაშორისო სამეცნიერო-  
გეთოლოგიური და პრაქტიკული,  
ყოველყოვანთაღური რეზერვირებული  
ჟურნალი

**Agrarian-economic  
Science and Technologies**  
**2018 №3(40)**

**International Scientific-  
Methodological and Applied,  
Quarterly Referenced Journal**

2018 №3(40)

ჟურნალი დაფუძნდებულია და გამოდის  
2008 წლიდან, ყოველკვარტალურად

**Journal was Founded in 2008  
and is issued quarterly**  
599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com  
www. gaas.dsl.ge

**თბილისი- Tbilisi  
2018**

## **ომარ ქეშელაშვილი**

**სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

### **სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცექიტიშვილი, გ.ვაფარიძე.

### **სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:**

პროფესორები: მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანორმინ ცენტო (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

### **საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგი:**

დაგიშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმე აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეგიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

### **O. Keshelashvili**

**Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences**

### **Editorial-scientific Board:**

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

### **Foreign members of Editorial-Scientific Board:**

professors: Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland), Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

### **Publishing Board**

**D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.**

# 1. აგრარული ეკონომიკა

## Agrarian Economy

---

მარცლებული მაურნეობის განვითარების  
საერთო და მარპეტიციული სტრატეგია და  
პირითადი ამოცავები; შესაძლო რისკები და  
რისკ-გენეზები; ძლიერი და სუსტი მხარეები  
და ფარმომას შესაძლებლობები

ომარ ქეშელაშვილი-  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

### რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

წარმოდგენილია საქართველოში მარცლებული მეურნეობის განვითა-  
რების საერთო და მარკეტინგული სტრატეგია და ძირითადი ამოცანები;  
გაშუქებულია შესაძლო რისკები და რისკ-მენეჯმენტი; ჩამოთვლილია  
მარცლებულის წარმოების შესაძლებლობები და მიზეზობრივი ტიპის სუსტი  
და სარე-კომენდაციო ტიპის ძლიერი მხარეები. მოცემულია აგრეთვე  
საწარმოო საფრთხეები: ასეთი მონაცემები საქართველოს სინამდვილეში  
პირველად ქვეყნდება.

### საერთო და მარკეტინგული სტრატეგია და ძირითადი ამოცა- ნებია:

- გამართლებული და მომავალზე ორიენტირებული, ახალი ჯიშე-  
ბისა და ჰიბრიდული ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაცია;
- ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოსა და რესურსული  
პოტენციალის რაციონალური და მაღალი უკუგებით გამოყენება;
- ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მაქსიმალური უკუგებითა  
და უნარჩენო გამოყენება;
- საზღვარგარეთის შერჩეული ქვეყნებიდან პროდუქციის შესაძლო  
შემოზიდვა და მისი უნარჩენო გამოყენება;

- მარცვლეულის წარმოების კვების მრეწველობასთან ინტეგრირება და ამის საფუძველზე ინტეგრირებული წარმოების განვითარება;
- მიზნობრივ (მ.შ. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებელ) საწარმოთა შესაბამისი სიმძლავრებითა და მოცულობებით მაქსიმალური უზრუნველყოფა, მათი ფონდტევადობის, ფონდშეიარაღებისა და ფონდუკუგების დონის სისტემატიური ამაღლება და სტაბილიზაცია;
- წარმოების მოცულობების შესაბამისი პროდუქციის შესანახი და სამაცივრო სიმძლავრეების შექმნა, მისი მატერიალურ-ტექნოლოგიური განმტკიცება და რაციონალური გამოყენება, დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით, რამაც საშუალება უნდა მოგცეს შევინარჩუნოთ პროდუქციის ხარისხი, ვარგისიანობა და ვარეგულიროთ მისი რეალიზაცია წლის პერიოდებისა (სეზონების) და მოშარებელთა მოთხოვნილებების მიხედვით;
- შრომითი რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია;
- წარმოებაში პროგრესული, მაღალი და უნარჩუნო ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების სისტემატიური და შეუფერხებელი დანერგვა;
- წარმოების ინტენსიურ და ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა და ინტენსიუტიკაციის საერთო დონის ამაღლება;
- წარმოების ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა;
- კონკურენტუნარიანი, მიზნობრივი და მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რომელზეც ამჟამად დიდი მოღხოვნილებაა საქართველოში და ამ გზით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება;
- ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების ათვისება;
- წარმოების არეალისა და მასშტაბების თანდათანობითი გაფართოება;
- საკუთარი შიდა და საგარეო საბაზრო სეგმენტების შექმნა, ათვისება და თანდათანობითი გაჯერება;
- სპეციალიზებული სარეალიზაციო ბაზის შექმნა;
- მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ფასწარმოქმნის საკუთარი სისტემის შემოღება და ამოქმედება, რამაც უნდა უზრუნველყოს ბაზარზე შეუფერხებელი გაღწევა, მისი გაჯერება და შენარჩუნება;
- წარმოების ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე და მოქნილი გამოყენება;

- ნოუ-ჰაუს უპირატესობების გამოყენება;
- სპეციალიზებული სამარკეტინგო სამსახურის შექმნა და მისი სრულყოფა;
- სხვადასხვა დონის მენეჯმენტის ოპტიმალური მოდელების შედგენა და პრაქტიკული რელიზაცია, მათი ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევა და სისტემატიური ამაღლება;
- ფირმის გადახდისუნარიანობისა და მდგრადობის დონის ამაღლება და მისი სტაბილური შენარჩუნება;
- სამეურნეო რისკის მართვა, მისი მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და უკუგების ოპტიმალური დონეების დადგენის გზით;
- სადაზღვევო სისტემაში ჩართვა და მისი შესაძლებლობების გამოყენება, რისკის შერბილების მიზნით;
- პარტნიორებთან, ფირმებთან, სარეალიზაციო ობიექტებთან და მომხმარებლებთან მიზნობრივი სახელშეკრულებო და საკონტრაქტო სისტემის დანერგვა და გამოყენება;
- საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარება და განვითარება;
- სტაბილურად მზარდი მოგების მიღება;
- რეკრეაციული კომპლექსის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და მასზე წარმოების ნაწილის მეტ-ნაკლები ორიენტაცია;
- საქმიანობის ყველა უბანზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება;
- მონაცემთა ბანკის შექმნა და სისტემატიური განახლება;
- სოფლად მიგრაციული პროცესების შერბილება;
- ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება.

### **შესაძლო რისკი და რისკ-მენეჯმენტი**

ფერმერული მეურნეობები თავის საქმიანობაში შესაძლოა მოელოდნენ შემდეგი სახის რისკებს, რაც დამახასიათებელია ყველა საწარმოო პროცესისათვის:

- ეკონომიკური შეზღუდვები;
- პოლიტიკური გარემოს გაუარესება;
- საგადასახადო სისტემის (მექანიზმის) შესაძლო გაუარესება და სირთულეები;
- სამართლებრივი უზრუნველყოფის დაბალი დონე;

- შეფერხებები საწარმოო-რესურსული პოტენციალის განმტკიცების თვალსაზრისით;
- საბანკო შეზღუდვები;
- სახელმწიფოს მხრიდან წარმოების პროცესის გამკაცრება;
- სირთულეები სადაზღვევო კომპანიების მხრიდან;
- სირთულეები მარკეტინგულ რეგიონულ სივრცეში;
- სირთულეები ფასწარმოქმნის მექანიზმსა და სისტემაში;
- სირთულეები შესანახ და სამაცივრო მოცულობებში;
- შეფერხებები ტრანსპორტირებაში;
- შეფერხებები რეალიზაციასა და გასაძებაში;
- შეფერხებები საკონტრაქტო პირობებში;
- ინფლაციის გაუთვალისწინებელი დონე (პირობები);
- უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოჩენა ბაზარზე;
- ტექნოლოგიების სრულყოფის ნელი ტემპი და ჩამორჩენა, მაღალი და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით;
- მოუწესრიგებელი და ჩამორჩენილი სარეკლამო სისტემა;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მცირე მასშტაბები და დაბალი დონე;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დიდი შესაძლებლობების გამოყენების არასაკმარისი დონე და მასშტაბები;
- საკუთარი სარეალიზაციო ბაზრის (ობიექტის) ტექნიკურ-ტექნოლოგიური და მარკეტინგული ჩამორჩენილობა;
- დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება.

რისკი დაძლეული იქნება მისი მართვის მექანიზმის შემუშავებისა და რისკ-მენეჯმენტის სისტემის რეალიზაციის გზით, რაც გული-სხმის რისკის მიზაშეწონილობის ეკონომიკური ზღვრებისა და ეკონომიკური უკუგების ოპტიმალური დონეების წინასწარ დადგენას და მასზე დაყრდნობით გამოყენებითი ხასიათის რეკომენდაციების გატარებას, რაც საგანგებო კვლევის შედეგებს დაეყრდნობა.

**საქართველოში, მარცვლეული მეურნეობის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები:**

**მიზეზობრივი ტიპის სუსტი მხარეებია:**

- მცირემიწანობა და მიწის რესურსების შეზღუდულობა;
- სასოფლო-სამეურნეო საგარგულებისა და საბაზის არარაციონალური გამოყენება;
- ჯერ კიდევ გაუმართავი და აუმოქმედებელი საწარმოო სიმძლავრეები და მოცულობები;

- წარმოებისა და საწარმოო-რესურსული პოტენციალის მყარი ბაზის შესაქმნელად კომპლექსური სამუშაოების ჩატარების საჭიროება;
  - ხარისხიანი სათესლე მასალის დეფიციტი;
  - სელექცია-მეთესლეობის სისტემის მოშლა;
  - ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება;
  - დანაწევრებული ფართობები;
  - აგროგადების დარღვევა;
  - მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომობა;
  - ფერმერებსა და მყიდველებს შორის წინასწარი საკონტრაქტო სისტემის მოუწესრიგებლობა;
  - პროდუქციის წარმოების დაბალი დონე;
  - სუსტი ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზა;
  - მარცლეულის მოვლა-მოყვანის არაპროგრესული ტექნოლოგია;
  - არსებული საბაზრო სეგმენტების მეტ-ნაკლებად არადამაკმაყოფილებელი (არასაკმარისი) ხარისხითა და დონით ფლობა.
  - პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის პროცესის სრულყოფის აუცილებლობა;
  - შესაბამისი საბაზრო სეგმენტების შექნისათვის სამარკეტინგო სამსახურის შექმნისა და ამოქმედების საჭიროება;
  - კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
  - არასრულყოფილი ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება;
  - ეკონომიკური საფრთხეების მოსალოდნელობა;
- სარეკომენდაციო ტიპის ძლიერი მხარეებია:**
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სახნავის სტრუქტურისა და მისი ეფექტური გამოყენების რეალური პერსპექტივა;
  - სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სატრუქტურის სრულყოფის შესაძლებლობები, ზონალური თავისებურებების გათვალისწინებით;
  - საწარმოო-რესურსულო პოტენციალის განმტკიცების შესაძლებლობები;
  - მდიდარი ბუნებრივი პირობები და წელიწადში ორი და მეტი მოსავლის მიღების ბიოკლიმატური პოტენციალი;
  - საქართველოში არსებული მარცვლეულის აბორიგენული, აგრეთვე ახლი ჯიშებისა და ჰიბრიდების მოვლა-მოყვანის დიდი პერსპექტივები, რაც გამოკვეთილი უნიკალურობით ხასიათდება;

- მდიდარი გენეტიკური და სელექციური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები;
- კვების მრეწველობისათვის არსებული მყარი და ზრდადი სანებლულო ბაზა;
- პროგრესული, მ.შ მაღალი და უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები და რეალური წინამდვრები;
- მარცვლული მუსიკობის გაძლიერებისა და მენეჯმენტის სრულყოფის შესაძლებლობები;
- მარცვლულის პროგრამირებული მოსავლის მიღების შესაძლებლობები, ინოვაციურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების და ამ პროდუქციით როგორც საკუთარი ისე საგარეო საბაზრო სეგმენტების გაჯერების დიდი შესაძლებლობები;
- მოკლე პერიოდში მძლავრი საწარმოო სიმძლავრეებისა და მოცულობების შექმნის დიდი და უტყუარი პერსპექტივა და სამოსოდ საჭირო რესურსებით ფაქტობრივი უზრუნველყოფა;
- წარმოების კონპერაციისა და ინტეგრაციის გაფართოების შესაძლებლობები;
- სამთო მიწათმოქმედების ჯერ კიდევ ნახევრად გამოყენებული რესურსების ამოქმედება;
- მსოფლიო ღია მეურნეობის მოთხოვნებისადმი მორგებულობა;
- სამეურნეო რისკის მართვა;
- გამოცდილი და კვალიფიციური სამმართველო და საინჟინრო-ტექნოლოგიური კადრის არსებობა;
- დიდი საწარმოო გამოცდილება და საქმიანი კავშირების არსებობა;
- წარმოებაში დასასაქმებელი შედარებით იაფი სამუშაო ძალის ჭარბად არსებობა;
- მყარი და პერსპექტივაში მზარდი ადგილობრივი სანებლულო ბაზის არსებობა;
- ფასწარმოქმნის სისტემის მიზანმიმართული რეგულირების ფართო შესაძლებლობები;
- დაფინანსების წყაროს არსებობა;
- არსებული და ჯერ კიდევ გაუკერებელი რეგიონული საბაზრო სეგმენტების ფართო ქსელი;
- ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტთა და რეკრეაციული კომპლექსის დიდი მოთხოვნილება სამამულო წარმოების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე;

- ბაზრის არსებობა;
- ექსპორტის შესაძლებლობების არსებობა;
- ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და მისი ცალკეული ელემენტის რეგულირებული გამოყენების შესაძლებლობები;
- მდიდარი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები;
- მოგების მაღალი დონის მიღწევის შესაძლებლობები;
- თვალსაწიერ პერსპექტივები არსებული სუსტი მხარეების ძლიერ მხარეებად გარდაქმის რეალური შესაძლებლობები.

#### **წარმოების შესაძლებლობები:**

- მომხმარებელთან მჭიდრო კავშირის დამყარების მეშვეობით სწრაფი და მოხერხებული საქმიანობა;
- მომხმარებლისთვის მაღალსარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის უწყვეტად მიწოდება, კლიენტების რეგიონული მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
- პროდუქციის წარმოების მოქნილი პოლიტიკის განხორციელება;
- ბაზარზე ლიდერის პოზიციის დამკვიდრება, განსაკუთრებით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდების თვასაზრისით;
- პროდუქციის წარმატებული და შეუფერხებელი რეალიზაცია;
- წარმოების ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა და სამეურნეო რისკის მართვა;
- საგარეო კავშირების დამყარება და განვითარება;
- წარმოების მდგრადობის უზრუნველყოფა და სტაბილურად მზარდი მოგების მიღება.

#### **საწარმოო საფრთხეები:**

საწარმოო საფრთხეები, სავარაუდოდ შეიძლება გაჩნდეს ანალოგიური პროდუქტების წარმოების შედეგად.

**General Market Strategy and Goals of Grain  
Culture Development;  
Possible Risks and Risk-management; Strong and  
Weak Aspects of Production Opportunities**

**O. Keshelashvili-**

Doctor of Economic Sciences, professor,  
Academician of the Georgian Academy  
of Agricultural Sciences

**Abstract  
(Internet Version)**

The article presents general market strategy and goals of grain culture development; Possible risks and risk-management are emphasized; Strong and weak aspects of production of grains are discussed and some recommendations are offered.

The article also points out the production risks of the process. The data presented in the article are published for the first time.

# აგრარული სექტორის პრობლემები და მისი გადაჭყვების გზები

დალი სილაგაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესიონალური

## რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

საქართველოს აგრარულ სექტორში, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში დაწყებული დარგის დაქვეთება ჯერაც არ არის საბოლოოდ დამლული. 2013 წლიდან დარგის განვითარების პიორიტეტად გამოცხადებისა და მნიშვნელოვანი სახსრების მიმართვის მიუხედავად, არსებითი ზასიათის გარდატეხა ჯერაც არ შეიმჩნევა, რიგი პროდუქციის წარმოებაში კვლავაც გრძელდება შემცირების ტენდენცია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია.

მნიშვნელოვნად მიგამინა, აგრარული სექტორის განვითარებისა და სასურსაო უსაფრთხოებისთვის შემდეგი ამოცანების დასახვა: ინვენსტიციების მოზიდვა; ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, სპეციალისტების გადამზადება; იმპორტშეცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რაც გაზრდის თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს; აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა; აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

**XXI** საუკუნის განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ტრანსფორმაცია შეეხო აგრარულ სექტორსაც, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ტრადიციული დარგია. მიუხედავად ამისა, იყო კვლავ რჩება ერთ-ერთ ნაკლებად განვითარებულ და სტრუქტურულად მოუწესრიგებელ დარგად, მაშინ, როცა სახეზეა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებრივ კლიმატური და შრომითი პირობები.

2013 წლიდან მთავრობის მიერ გამოცხადებული იქნა აგრარული სექტორის პრიორიტეტულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სექტორის დაფინანსება, წარმოდგენილი იქნა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია, თუმცა ჯერკერობით აღეკვატური

შედეგი ვერ იქნა მიღებული. ამაზე მთუთითებს ისიც, რომ მთელი რიგი პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით კვლავ გრძელდება შემცირების ტენდენცია, ან სახეზეა უმნიშვნელო ზრდა.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ზრდის პროცესის პარალელურად აგრარული სექტორი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, 2003-2016 წწ. ქვეყნის რეალური მშპ 8,6 მლრდ. ლარიდან 16,7 მლრდ. ლარამდე (1,9-ჯერ) გაიზარდა, აგრარული სექტორისა კი 1,6 მლრდ. ლარიდან 1,5 მლრდ. ლარამდე (6%-ით) შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობაა აგროპროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ საბაზო მაჩვენებლებშიც. 1990 წელთან შედარებით დაუმუშავებელი ფართობების მოცულობა 2,5-ჯერ არის შემცირებული, მსხვილი რქო-სანი პირუტყვის რაოდენობა-1,2-ჯერ, ღორისა 8-ჯერ, ცხვრისა და თხისა-2,5-ჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავა-რგულების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი უმეტესობა არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას ცდილობს, თუმცა ეს მცდელობები ეფექტური არ არის: „სახელმწიფოს ხელშეწყობისა და დიდი თანხების ჩადების მიუხდავად, ფაქტია, რომ ამ დარგში ინვესტიციები არ შემოედინება. 2016 წელს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8 მილიონ ლირას შეადგინდა, 2017-ში კი 3 მილიონნახევარ დოლარს. მთავრობის მიერ ამ სფეროში ჩადებული თანხები არაეფექტური ან გამოდგა. ასევე, გადამუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, დიდი კლება გავაქვს. ინვესტიციები 130 მილიონი ლირაშიდან 75 მილიონამდე შემცირდა. ეს არის სექტორი, სადაც ადგილობრივი წარმოება მუშავდება და რომელიც ძირითადად საექსპორტოდ არის განკუთვნილი.

ჩვენი აზრით, აგრარული სექტორის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებია: შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; ადგილობრივი პროდუქციის დაბალკურენტუნარიანობა და საგარეო ბაზრებზე გაღწევის სირთულე; აგროპროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელი საფინანსო და სადაზღვეო სისტემის არარსებობა; სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა; წარმოების დაბალპროდუქტოულობა და დაბალშემოსავლიანობა; მიწის მფლობელთა შორის კოპერაციის ნაკლებობა; ფერმერული მეურნეობების ტრადიციების არარსებობა; თანამე-

დორვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის უკმარისობა; აგროტურიზმის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არ არსებობა.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ აგრარული დარგის განვითარებისათვის სახელმწიფო უამრავ პროექტს ახორციელებს თანადაფინანსებით და ამავე დროს ხელს უწყობს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატორიული ინფორმაციის თანახმად, ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია წინა წელთან შედარებით თითქმის 35%-ით არის გაზრდილი. კერძოდ, უწყების ინფორმაციით, 2018 წლის 1 აპრილის ჩათვლით ექსპორტირებულია 207 მილიონ 500 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 34.7%-ით მეტია.

ამასთან, სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითად საექსპორტო ბაზებს: რუსეთი, ევროკავშირის ქვეყნები, აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა და ყაზახეთი წარმოადგენს. რაც შეეხება ძირითად საექსპორტო პროდუქტებს, ესენი იყო: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, სპირტიანი სასმელები და თხილი.

ასევე გვინდა ვთქვათ, რომ დარგს გააჩნია ძლიერი მხარეებიც: სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვანისათვის ხელ-საყრელი ბუნებრივი პირობები, პროდუქციის მომხმარებლების დიდი შიდა ბაზარი და სხვა ეროვნულ ბაზრებთან სიახლოვე. ბრენდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის არსებობა, სასათბურე და ფერმერული მეურნეობების მდიდარი ტრადიციები, საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

გააჩნია შესაძლებლობებიც: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი სახელმწიფო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების გაფართოება; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ახალი საბანკო და სადაზღვეო პროდუქტები; ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად მხარდამჭერი აქტივობები.

თუმცა, არც საფრთხეები უნდა დაგვავიწყდეს, როგორიცაა: სტიქიური მოვლენები; სასოფლო სამეურნეო კულტურების დააგადებების გავრცელება; საერთაშორისო სტანდარტებისადმი დარგის მოუმზადებლობა; სასოფლო პროდუქციის დაზღვევის სისტემის არასათანადო პირობები.

ჩვენი აზრით, აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. სწორი პრიორიტეტებისა და შესაბამისი დაბანდების პრობებში მას შეუძლია როგორც სიღარიბის დაძლევაში, ასევე საშუალო ფენის ჩამოყალიბებაში დიდი როლის შესრულება. რამდენიმე მსხვილ ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გარდატეხა მოახდინოს კონკრეტული საქონლის წარმოებაში და უზრუნველყოს სასურველი პარამეტრები. ქვეყნის პრობლემა არა მცირე მიწიანობაში, არამედ სასოფლო-სამეურნეო საგარეულების არაეფექტურით გამოყენებაშია. დაუმუშავებელი და შესაბამისად გამოუყენებელია სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ნაწილი, დაბალია მოსავლიანობა, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ ექსტენსიურ, ასევე ინტენსიურ რეზერვებზე. ამდენად, მიზანმეტონილად მიგვაჩნია პრივატიზების დაჩქარება ან სახელმწიფო საკუთრების მიწების იჯარით გაცემა და მიწების დამუშავების სტამულირება.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ აგრარული სექტორის განვითარებისთვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ამოცანები: ინვენტიციების მოზიდვა; ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, სპეცი-ლი-სტების გადამზადება; იმპორტშემცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რაც გაზრდის თვითუზრუნველყოფის პარამეტრებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს; აგრარული სექტორის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა; აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

# **Problems of agrarian sector and ways of solving it**

**Dali Silagadze**

Akaki Tsereteli State University Associated Professor

## **Abstract**

(Internet version)

Of the agricultural sector, the economic crisis in the field of depression has not yet been finally overcome. Despite the announcement of the development of the sector as a priority and the importance of 2013, substantial changes have not yet been observed. The number of products still continues to decrease trend, indicating that the measures taken are insufficient. Production of imported agricultural products, which will increase self-preservation parameters and significantly improve employment and income indicators of the population; We consider it to be important for the development of agrarian sector and food security: Attracting inventories; Bringing new technologies; Specialists trained; Facilitate the formation of the optimal sectoral structure of the agricultural sector; Increase labor productivity in the agricultural

## სასოფლო-სამეურნეო ფარმობის

განვითარების გზები  
იმპრეტის რეგიონში

ზეინაბ ახალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოსირებული პროფესორი

### რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრალურ, ძალზე მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს. იმერეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის მრავალფეროვნებაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სოფლის მეურნეობას უჭირავს. ნიადაგი, მისი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში განვითარებულმა წევატიურმა მოვლენებმა არსებითი გავლენა მოახდინა დარგის განვთარებაზე, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორში პოზიტიური ძვრები შენიშნება. რიგ მუნიციპალიტეტებში კარგად არის განვითარებული სასათბურე ინფრასტრუქტურა, რუმცა მათი მასშტაბი მაინც მცირეა.

სექტორის განვითარებაში, განსაკუთრებით კოოპერირებისა და ახალი ტექნილოგიებით უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშნელოვანი წვლილი შექვეთ შესაბამისი პროექტის საერთაშორისო გრანტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ასევე სახელმწიფო სტრუქტურებიც. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაფინანსებული ინიციატივა, რომლის თანახმადაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2018 წელს სასათბურე კლასტერის პროექტს განახორციელებს. პროექტი იმერეთის რეგიონში, კერძოდ, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაქში აგროზონის შექმნას ითვალისწინებს, სადაც, სახელმწიფოს მხარდაჭერით, საექსპორტოდ მიმართული სასათბურე კლასტერი აშენდება. პროექტის განსახორციელებლად 100 მილიონი ლარის ინვესტირება იგეგმება.

ეს პროექტი კოპიტსარის აეროპორტში სასაწყობე მეურნეობის და სატვირთო ტერმინალის განვითარებას მოიცავს, რაც ძალიან მნიშნელოვანია არა მხოლოდ იმერეთისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრალურ, ძალზე მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს.

საქართველოს ამ რეგიონს გააჩნია გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების შედარებით უპირატესი პირობები, მასზე მოდის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოტენციალის დიდი ნაწილი. კერძოდ, სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის 80,7%, საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვის 68,2%, საწარმოებში და ორგანიზაციებში მომუშავეთა 61%, საცალო ვაჭრობის მოცულობის 78,4%, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 62%, გასავლების 62,1%, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების 78,3% და ბოლოს, ამ რეგიონში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 53,8%. (ციფრობრივ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი)

იმერეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის მრავალფეროვნებაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სოფლის მეურნეობას უჭირავს. ნიადაგი, მისი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იმერეთში შესაძლებელია მეენახობა-მედვინეობის, მემწვანილეობის, მგბისტნეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, სასათბურე მეურნეობის, სამაცივრე მეურნეობის, რძის, ხილის გადამუშავებელი მრეწველობის, მეფრინველეობის, თხილის წარმოების, მარცვლეულის წარმოების, ჩირის, დაფნის, აბრეშუმის, ბაღჩეული კულტურის წარმოების განვითარება. გარდა ამისა, არის მეაბრეშუმეობის, ტბორის თევზის წარმოების და სოკოს სასათბურე მეურნეობების განვითარების პერსპექტივა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა არსებითი გავლენა მოახდინა დარგის განვთარებაზე, შეიძლება თქვას, რომ რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორში პოზიტიური ძვრები შეინიშნება. იზრდება აგროსასურსათო სექტორში მოქმედი საწარმოების რაოდენობა. კერძოდ, 2017 წლის მონაცემებით, იმერეთის აგროსასურსათო სექტორში ფუნქციონირებდა 458 საწარმო, აქედან 422 მცირე საწარმო, 24- საშუალო სიდიდის და 12 მსხვილი საწარმო. ამავე წელს, მთლიანად საქართველოს აგროსასურსათო სექტორში ფუნქციონირებდა 4249 საწარმო, მათ შორის 3621-მცირე, 338-საშუალო და 290 მსხვილი საწარმო. აქედან გამომდინარე, იმერეთის აგროსასურსათო სექტორში მოქმედ საწარმოთა ხვედრითი წილი საქართველოს აგროსასურსათო სექტორში მოქმედ საწარმოთა მთლიან მოცულობაში საკმაოდ მაღალია და დაახლოებით 11%-ს შეადგენს. უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი ყველა სხვა რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებელზე მაღალია.

იმერეთის აგროსასურსათო სექტორში მოქმედი საწარმოები  
ცხრილი 1

საწარმოს ზომა	მცირე საწარმო	საშუალო საწარმო	მსხვილი საწარმო
იმერეთი	422	24	12
საქართველო	3621	338	290

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ასევე რეგიონის სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებითი ღირებულების დინამიკაც, 2010-2015 წლებში მისი სიდიდე 275.3 მლ. ლარიდან 406.0 მლნ. ლარამდე იზრდება. შესაბამისად იზრდება რეგიონში შექმნილი დამატებითი ღირებულების ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებითი ღირებულების მთლიან მოცულობაში. მართალია, ზრდის ტემპი მაღალი არ არის, მაგრამ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია.

იმერეთის სოფლის მეურნეობაში შექმნილი  
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)

ცხრილი 2

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015
იმერეთი, რაჭა-ლე- ჩეუმი და ქვემო სვანეთი	275. 3	319.4	352.0	383.9	374.4	406.0
საქართველო	1,509.9	1,854.9	1,933.3	2,195.0	2,328.1	2,507.6

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ ბოსტნეულის წარმოების ტრადიცია, კლიმატური პირობები და ათვისებული პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრები ხელს უწყობს ბოსტნეულის წარმოების განვითარებას იმერეთში. რიგ მუნიციპალიტეტებში (წყალტუბო, ხონი და სამტრედია) კარგად არის განვითარებული სასათბურე ინფრასტრუქტურა, თუმცა მათი მასშტაბი მაინც მცირეა. მოსავლის შენახვის მიმართულებით დაწერგილია თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც

ხელს უწყობს მიღებული მოსავლის დასაწყობებასა და შენახვას 3–5 თვასი პერიოდით. აღნიშნული ტექნოლოგიები ამცირებს აღებული მოსავლის დანაკარგებს და ხელს უწყობენ სტაბილური ფასების შენარჩუნებას ბაზარზე, რაც სექტორში მომუშავე ბიზნეს სუბიექტებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

2016 წელს იმერეთში 11.8 ათასი ტონა ხილი იქნა წარმოებული, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმოებული ხილის (186.4 ათასი ტონა) 7%-ია. მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ რეგიონის ნიადაგი და კლიმატური პირობები, სხვა რეგიონებისაგან განსხვავდით მაინცდამაინც სახარბიელოდ არ ითვლება ხილის წარმოებისათვის. მიუხედავად ხილის წარმოების არსებული რესურსებისა იმერეთში არ არსებობს მსხვილი გადამმუშავებული ან ხილის საშრობი პროფილის მქონე საწარმო, რაც მნიშნელოვან სტატულს მისცემდა ხილის მწარმოებული მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარებას. განსხვავებული პოზიციები უჭირავს მეღვინეობას. იგი იმერეთის აგროსექტორის ტრადიციული დარგია და კახეთის შემდეგ ლიდერის პოზიციები უჭირავს. 2016 წელს იმერეთის რეგიონში აღებულმა ყურძნის მოსავალმა 21.7 ათასი ტონა შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმოებული ყურძნის დაახლოებით 14%-ია (159.2 ათასი ტონა).

იმერეთის აგროსექტორის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით იმერეთის მეორე პოზიცია უჭირავს. 2016 წელს აღნიშნული ჯგუფის პირუტყვის სულადობაში იმერეთში 171.4 ათასი სული შეადგინა. 2010–2016 წლების განმავლობაში აღნიშნულ მიმართულებაში მოკრძალებული ზრდის ტემპი (2,1%) დაფიქსირდა. იმერეთის წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საშუალოდ 17.8%-ს შეადგენდა. 2016 წელს, იმერეთის რეგიონში აღწერილი იქნა 1007.7 ათასი ფრთა ფრინველი, რაც ქვეყანაში აღწერილი ფრინველის რაოდენობის 12.23%-ს შეადგენს. რეგიონში განვითარებულია აგრეთვე მეფუტკრეობა. 2016 წელს იმერეთში დაფიქსირებული იყო 41.9 ათასი სკა, რაც მთლიანად საქართველოში არსებული სკების 20.4%-ს შეადგენს.

წლ ები			2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბოსტნე ველი	ათ. ტო ნა	იმერე თი	17.9	20.8	19.9	26.7	17.6	27.6	14.5
		საქართ ველი	175.7	185.8	198.5	204.8	153.6	152.3	141.7
ზიღი	ათ. ტო ნა	იმერე თი	21.4	18.5	21.8	23.9	13.9	17.4	11.8
		საქართ ველი	124.1	187.3	157.9	217.6	210.0	144.3	186.4
მსხვი ლფე	ათ. სუ ნი პარუ ტყევი	იმერე თი	192.6	197.9	194.3	208.6	163.2	168.7	171.4
		საქართ ველი	1049.4	1087.6	1128.8	1229.7	970.0	992.1	962.7
ფრინ ველი	ათ. ფრ თა	იმერე თი	1237.3	1056.8	1039.5	1214.5	1089.2	971.0	1007.7
		საქართ ველი	6521.5	6360.2	6159.1	6760.7	6657.8	8308.6	8237.8
ფუტბ ონის ოჯა ზი	ათ. სკა	იმერე თი	27.0	26.4	15.2	13.9	38.0	44.1	41.9
		საქართ ველი	311.5	328.0	347.5	398.6	190.7	197.1	205.3

სექტორის განვითარებაში, განსაკუთრებით კოოპერირებისა და ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშვნელოვანი წელილი შექმნამისი პროფილის საერთაშორისო გრანტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ასევე სახელმწიფო სტრუქტურებიც. ამ მიმართულებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსაი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაუდერებული ინიციატივა, რომლის თანახმადაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2018 წელს სასათბურე კლასტერის პროექტს განახორციელებს. პროექტი იმერეთის რეგიონში, კერძოდ, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში აგროზონის შექმნას ითვალისწინებს, სადაც, სახელმწიფოს მხარდაჭერით, საექსპორტოდ მიმართული სა-

სათბურე კლასტერი აშენდება. პროექტის განსახორციელებლად 100 მილიონი ლარის ინვესტირება იგეგმება.

სახელმწიფოსგან პროექტს ამ ეტაპისთის წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში 125 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი გადაეცა. პროექტში მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა მოქალაქეს და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ პირს შეეძლება. აგროზონის ტერიტორიაზე ნაკვეთების ღირებულება ჯერვერობით დაზუსტებული არ არის. ცნობილია, რომ მიწა პროექტის მონაწილეებს აღნაგობის უფლებით გადაეცემათ, რაც გულისხმობს იმას, რომ მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებად დარჩება, ხოლო მასზე აშენებული შენობა-ნაგებობა თუ სასათბურე ფართი ფერმერის საკუთრება იქნება. ბენეფიციარებმა სათბური არანაკლებ 0.1 ჰა-ზე და არაუმეტეს 5 ჰა-ზე უნდა მოაწყონ. ფერმერები სათბურებს თავისი შენედულებებისამებრ ააშენებენ, თუმცა თანამედროვე სტანდარტების დაცვა პროექტში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა.

პროექტის მიზანია დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ, სასათბურე მწვნილისა და ბოსტნეულის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტანდარტება და ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა.

ეს პროექტი კოპიტნარის აეროპორტში სასაწყობე მეურნეობის და სატვირთო ტერმინალის განვითარებას მოიცავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიერეთისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის. ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნა არსებობს. საჭიროა დიდი რაოდენობით, უნიფიცირებული სტანდარტის პროდუქციის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა. კერძო სექტორი ამ მოთხოვნას ვერ აქმაყოფილებს, ამიტომ სახელმწიფო ცდილობს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მას, მათ შორის მოცულობის და ხარისხის კუთხით მაღალი სტანდარტის დაწესებაში.

საექსპორტო წარმოების წახალისების პარალელურად, ქუთაისის აეროპორტში განსაზღვრულია სატვირთო განყოფილების შექმნა, საიდანაც აგროზონაში ნაწარმოები პროექტების სწრაფი გადაზიდვები განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებისას, სახელმწიფო, მიერეთის აგროზონის ტერიტორიაზე გზას, ელექტროენერგიას, წყალსა და გაზს მიიყვანს. ამ ტერიტორიაზე დამოუკიდებელ სუბიექტად წარმოდგენილი იქნება საექსპორტო კომპანია, რომელიც ტერიტორიაზე პროდუქციის დახარისხებას, გაყინვას, შეფუთვისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურული შენობა/ ნაგებობის შექმნას უზრუნველყოფს. კომპანია არა მარტო აგროზონიდან,

არამედ მთელი რეგიონიდან მწვანილსა და ბოსტნეულს შეისყიდის, რომელსაც დააფასოებს და ექსპორტზე გაიტანს.

სასიამოხნოა, რომ იმერეთის რეგიონში სკეციალური აგროზონის შესახებ ინფორმაციის გაუღერებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია საერთაშორისო და ადგილობრივი საექსპორტო კომპანიების მხრიდან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროექტი რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე, წარმატებით განხორციელდება და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უკნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

## Progresses of an agricultural production in Imereti region

**Zeinab Akhaladze**

Akaki Tsereteli State University

Associated Professor

### Abstract

(Internet version)

Imereti region is the central part of Georgia and from an economic point of view is also one of the central and most important components of the Georgian economy. Agriculture It is one of the most important places in a variety of economic structure Imereti. The ground, its geological structure, a climate and a vegetative cover create more favorable conditions for progress of an agriculture in region.

Despite the fact that the negative events in the past significantly influenced the development of the sector, we can say that the positive changes in the agricultural sector of the region. In some municipalities greenhouses infrastructure is well developed, but their scale is still small.

An important contribution to the development of the industry, especially in the direction of cooperation and ensure new technologies are making non-governmental organizations and international grants to the appropriate profile. A greater role in this play also by the government agencies. In this regard, it should be mentioned especially the initiative of the Ministry of Environment and Agriculture, according to which in 2018 the agency for the management of agricultural proektamiv implements the project "Greenhouse Cluster". The project envisages the creation of agrozony village Maglaki in Tskaltubo region, where a cluster of the greenhouse will be built with the support of the state. To implement the project intends to invest 100 million GEL.

This project includes the development of warehouses and cargo terminals in the Kopitnari airport, which is very important not only for Imereti, but for Georgia as a whole.

## **2. მაციტრუსეობა და სუბტროპიკული ქულტურები Citrace and Subtropical crops**

---

**მეთემოლოგიური მოვლენების გავლენა  
საქართველოს ციტრუსის ნარგავებზე**

გორგი ხომასურიძე

დოქტორანტი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეფერატი  
(ინტერნეტ-ული ვერსია)**

ბევრ ბუნებრივ მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს ციტრუსის დაზიანება, ეს, განსაკუთრებით ეხება ყინვებს. როდესაც ყინვიანი ამინდია მოსალო-ლენები, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა მაქსიმალურად ნაკლები ზიანი მიადგეს ციტრუსის ხეებსა და ნაყოფს.

ტრიფოლიატა ყველაზე ყინვაგამდლე ციტრუსია. კლემბერინგი და მანდარინის სხვა სახეობები შედარებით ნაკლები ყინვაგამდლეობით გამოირჩევიან, ფორთოხლებსა და ლიმნებს კი მანდარინზე უფრო ნაკლები ყინვაგამდლეობა ახასიათებთ.

პოტენციური უარყოფითი შედეგების შესარბილებლად ფერმერებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, წარსულის გამოცდილებიდან დაწყებული ახალი, აქტიური ყინვადამცავი საშუალებებით დამთავრებული, რადგან ციტრუსის ნარგავების დაზიანება მცირე ტემპერატურულ სხვაობასაც კი შეუძლია.

**ციტრუსოვანთა გვარში შემავალი სახეობებიდან საქართველოში**  
**ფართო სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მანდარინს, ფორთოხალსა და ლიმონს. რაც შეეხება სხვა სახეობებს-გრეიპფრუტს, ციტრონს, პომპელმუსს და სხვა, ისინი ჩვენში ფერმერთა ნაკვეთებზე ერთეული ნარგაობის სახითაა გაშენებული, ნაკლებად კომერციული მნიშვნელობის გამო.**

**მანდარინი-საქართველოში როგორც პლანტაციების ფართობის, ასევე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს მანდარინს, რაც ამ მცენარის ნაყოფის ღირსებითა და უფრო მაღალი ყინვაგამდლეობით არის გაპირობებული.**

მანდარინის ჯიშებიდან ჩვენში სამრეწველო დანიშნულებით გავრცელებულია:

მანდარინი უნშიუ-სამშობლო იაპონიიდან, ხე კარგად მზარდი 4-5მ. სიმაღლის, კომპაქტური, ფართო ოვალური ვარჯით. ნაყოფები საშუალოდან მსხვილამდე (50-75გ.), უთესლო, გემო მომჟავო-მოტკბო, ქიმიური შემადგენლობა: შაქრები 6,17%, მჟავიანობა 0,98%, ვიტამინი C 36-38მგ.%. მსხმოიარობაში შედის 3-4 წლის შემდეგ. მწიფდება ნოემბრის მეორე ნახევარში, მაღალმოსავლიანი, ყინვაგამძლეობა -10-12°C.

ქართული საადრეულ-უნშიუს სომატური სახესხვაობაა, აღმოჩენილია ჩაქეში 1958წ. ხე ნამგალა, დაბალმხარდია (1,8-2,5მ) ხშირი, ძლიერი კომპაქტური ტოტებით. ნაყოფი მსხვილი (82-85გ.) მომრგვალო, გემო არომატული მოტკბო-მომჟავო. უნშიუსთან შედარებით მისი ნაყოფი 25 დღით ადრე მწიფდება.

კოვანო-გასე-წარმოშობილია იაპონიაში, როგორც მანდარინ უნშიუს კვირტული ვარიაცია, ხე 2,0-2,5მ. სიმაღლის, ნაყოფი მსხვილი (75-90გრ.) მომრგვალო, ოდნავ შებრტყელებული, მოტკბო-მომჟავო გემოსი. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-2-3 წელს, ნაყოფები მწიფდება ოქტომბრის პირველ ნახევარში. საადრეულ ფორმებიდან ასევე ცნობილი ჯიშებია: მიაგაგა-გასე, ოკიუ-ვასე და ტიახარა უნშიუ. ფორთოხალი-მრავალწლიანი, მარადმწვანე საშუალო ზრდის ხემცენარეა, სიმაღლით 10-12 სმ. კომპაქტური ვარჯით, ყინვაგამძლეობა-9-10°C. ჩვენში გავრცელებული ჯიშებია:

ვაშინგტონ ნაველი-შემოტანილია ამერიკიდან, ხე საშუალო ზრდისაა, კარგად შეფეროლილი, გადაშლილი ვარჯით, ნაყოფი მრგვალი. ოდნავ მოვრძო, საშუალო წონა 400გ., წვერში დამახსიათებელია ჭიბი. ქიმიური შემადგენლობა: შაქარი-7,37%, მჟავიანობა-0,94%, ვიტამინი C-56,6მგ.%. საშუალო მოსავლიანია, მწიფდება ნოემბრის ბოლოს, შენახვისუნარიანი და ტრანსპორტაბელურია. ყინვაგამძლეობა -4,4°C. (24°F).

ჰამლინი-შემოტანილია ამერიკიდან, უხვმოსავლიანი, აღრემწიფადი ჯიშია, ნაყოფი თესლიანია, მომჟავო მოტკბო სასიამოვნო გემოთი. ყინვაგამძლეობა-6,7°C. (20°F).

ვალენსია-ჯიში ესპანურია, ხე ძლიერ მზარდი, ნაყოფი საშუალო ზომის (150გ.) ხორცლიანი ზედაპირით, რბილობი ნაზი, წვნიანი, მწიფდება გვიან. ყინვაგამძლეობა -5,6°C (22°F).

ლიმონი-გასულ საუკუნეში საქართველოში გავრცელებული იყო როგორც ინტროდუცირებული, ისე ადგილობრივი წარმოშობის ლი-

მონის ჯიშები: ქართული ლიმონი, დიოსკურია, კუზნერის ლიმონი, უდარნიკი, ვილაფრანგა ჯენუა. სამწუხაროდ, სოკო ტრაქეიფილას (მალსეკო) მასიური დაავადებების ფონზე აღნიშნული ჯიშები განადგურდა. დღეისათვის, მოსახლეობაში შემორჩენილია ეწ. მალსეკოგამძლე ლიმონი-მეირი. იგი ჩინური წარმოშობისაა. საშუალოდ მზარდი ბუჩქია, ეკლიანი, რემონტატული და უხვომოსავლიანი. ნაყოფი თესლიანი, რბილობი ნაზი, უხვი წვენით. ქიმიური შემადგენლობა: შაქარი-3,5%. მჟავიანობა 3-4%, ვიტამინი C -34,8გ.%. მსხმიარობაში შედის დარგვიდან 2-3 წლის შემდეგ. ყინვაგამძლეობა-5,6°C. (22°F)

**აგროკლიმატური რისკები და ციტრუსოვანთა მოსავლიანობა**  
ციტრუსოვანთა ნარგაობისათვის აგროკლიმატური რისკებიდან შესაძლებელია დასახელდეს:

**ზამთრის ყინვები-ციტრუსოვანთა კულტურები** ყინვებისადმი განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენს. არსებობს ალბათობა, რომ არქტიკული ჰაერის ცივი მასების შემოჭრა მოხდეს ჩრდილო კავკასიიდან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სუბტროპიკულ ზონაში ტემპერატურის მკვეთრი დაცემა -14-15°C-მდე. ასეთი ყინვების განმეორებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლში შესაძლებელია 10-15 წელიწადში ერთხელ, თუმცა, კლიმატის ცვლილების პირობებში ეს დიაპაზონი შეიძლება ცვალებადი გახდეს. ყინვებისგან დასაცავად მიმართავენ ფესვის ყელთან მიწის შემოყრას 30-35სმ. სიმაღლეზე. ასევე გამოიყენება მცენარეთა შეფუთვა, შებოლება და სხვა ღონისძიებები.

**საგაზაფხულო წაყინვები-რადიაციული** წაყინვები გაპირობებულია ნიადაგის ზედაპირის ინტენსიური გაციებით მოწმენდილ-წყნარ ღამეში. ნიადაგის ზედაპირზე წარმოიშობა ტემპერატურის ინვერსია. ტემპერატურა 2-4°C-მდე ეცემა. შავი ზღვის სანაპირო ზოლში წაყინვების დადგომის სეზონია: 15-20 აპრილიდან 1-5 მაისამდე. ზიანდება ახალგაზრდა ყლორტები, სანაყოფები კვირტები. წაყინვების საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებაა შებოლება (ნამჯა, თივა, ძველი საბურავები და სხვა).

**სეტყვა-სუბტროპიკულ ზონაში** სეტყვა იშვიათი მოვლენაა, თუმცა, არის ერთეული შემთხვევები გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც სეტყვა სერიოზულ ზიანს აყენებს ახალგაზრდა ყლორტების ასევე ტექნიკურ სიმწიფეში მყოფ ნაყოფებს. სეტყვით დაზიანებულ მცენარეებსა და ნაყოფებს უტარდებათ პრეპარატებით წამლობა.

**სანგძლივი გვალვები-ბოლო 10-15 წლის განმავლობაში** ყოველ მე-2-3 წელს დაფიქსირებულია საგაზაფხულო და საზაფხულო გვალვები. გვალვების სანგრძლივობა 30-50 დღე. ნიადაგში ტენის ძლიერი

დეფიციტი იწვევს კვირტებისა და ნაყოფების მასიურ ცვენას, ფოთლების ჭენობას და ხმობას. ასეთ პირობებში მაღალფექტური ღონისძიებაა მორწყვა.

**უხვთოვლიანობა-ტენიან** სუბტროპიკებში უხვთოვლიანობა ხშირი მოვლენაა. რეგიონებისა და ზონების მიხედვით თოვლის საბურველის სიმაღლე 0,3-1,5 მ-დე მერყეობს. შესაძლებელია ერთი დღე-ღამის განმავლობაში 1 მეტრი სისქის თოვლიც კი მოვიდეს. უხვთოვლიანობის სეზონი დგება დეკემბერ-თებერვალში; დიდთოვლიანობა იწვევს ხეების მექანიკურ დახლეჩვა-დაზიანებას, აძლიერებს ყინვების მოქმედებას. საჭიროა დროულად განთავისუფლდეს მცენარეები თოვლისაგან.

**ეროზია, მეწყერული მოვლენები,** წყალდიდობები-საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ნალექების არათანაბარი განაწილება ქნის ეროზითა და მეწყერული მოვლენების განვითარების საშიშროებას. განსაკუთრებით შემოდგომა-ადრე გაზაფხულზე უხვი ნალექებისა და თოვლის დნობის პერიოდში ადგილი აქვს ზვავებს, მეწყერებს, ნიადაგის ეროზის, წყალდიდობას. ციტრუსოვანთა ბაღები, რომლებიც აღნიშნული მოვლენების ზემოქმედების ქვეშ მოხვდებიან-ძლიერ ან მთლიანად ნადგურდებიან. აღნიშნული უარყოფითი ქმედებების სალიკიდაციოდ საჭიროა პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

#### ყინვაგამძლეობა


იმ სუბტროპიკული არეალებისთვის, სადაც წაყინვები ჩვეულებრივი მოვლენაა, ზამთრის მიწურულის ყინვები ციტრუსისთვის უკეთესიცაა, რადგან, ბევრი მცენარე პროგრესული ცივი ტემპერატურების გამოვლენის შედეგად ნელ-ნელა ყინვაგამძლე ხდება. წაყინვებს შეუძლია დააზიანოს ჯერ კიდევ გაუმაგრებელი ტოტები და ყლორტები.

ციტრუსები განსხვავდება ყინვაგამძლეობის მიხედვით. ყველაზე ყინვაგამძლე ციტრუსია ტრიფოლიატა (*Poncirus trifoliata*). მას შეუძლია გაუძლოს- $-30^{\circ}\text{C}$ -მდე ყინვას. შემდეგ მოდის ციტრანდარინი, ციტრანჟი, ციტრანქეკატი, იჩანგის ჰაპედა (*Citrus ichangensis*). ყველა ჩამოთვლილი ციტრუსი იტანს- $-15^{\circ}\text{C}$ -მდე ყინვას. ყინვაგამძლეობით გამოირჩევა კინკანი (*Citrus japonica*), მანდარინი ჩანგშა (*Citrus reticulata*), მანდარინი უნშიუ (*Citrus unshiu*), ჩინოტო (*Citrus myrtifolia*), ასევე უძუ და ორანჟეკვატი.

კლემუნტინებს და სხვა მანდარინის სახეობებს ტრიფოლიატასთან შედარებით უმნიშვნელოდ მცირე ყინვაგამძლეობა ახასიათებთ. ფორთოხლები და ლიმონები ნაკლებად ყინვაგამძლენი არიან მანდარინთან შედარებით.

საერთო ყინვაგამძლეობა ზრდასრული ხეებისთვის ასეთია:  
 კინკანი  $-12^{\circ}\text{C}$  ( $10.4^{\circ}\text{F}$ )  
 მანდარინი ჩანგშა  $-11^{\circ}\text{C}$  ( $12.2^{\circ}\text{F}$ )  
 მანდარინი უწმიუ -  $-6,7^{\circ}\text{C}$  ( $20^{\circ}\text{F}$ )  
 ფორთოხალი ჰამლინი  $-6,7^{\circ}\text{C}$  ( $20^{\circ}\text{F}$ )  
 ფორთოხალი ვალენსია  $-5,6^{\circ}\text{C}$  ( $22^{\circ}\text{F}$ )  
 მეიურის ლიმონი  $-5,6^{\circ}\text{C}$  ( $22^{\circ}\text{F}$ )  
 ფორთოხალი ნაველი  $4,4^{\circ}\text{C}$  ( $24^{\circ}\text{F}$ )  
 გრეიფპრუტი  $-3,3^{\circ}\text{C}$  ( $26^{\circ}\text{F}$ )

ციტრუსის სახეობების ყინვაგამძლეობის მიხედვით (Fake C., Norton M., 2012,), (Nicotra A., 2001), (Sauls J. W., Jackson L. K., 1982)  
 ავაგეთ დიაგრამა. (ნახ. 1).



ნახ. 1. ციტრუსის სახეობები ყინვაგამძლეობის მიხედვით

ციტრუსის ფოთლები, ხის მწვანე ნაწილი და ნაყოფი უფრო მეტად მგრძნობიარება სიცივის მიმართ, ვიღრე მცენარის მყარი ნაწილი. საერთოდ, მომაგრებული მანდარინის ფოთლები იტანს 4 საათზე მეტს- $-6.7^{\circ}\text{C}$ -ზე ( $20^{\circ}\text{F}$ ). ციტრუსის ყინვაგამძლეობა დამოკიდებულია კრიტიკული ტემპერატურის ხანგრძლივობაზე, მაგალითად მანდარინის ნაყოფი უძლებს მოკლე ყინვებს- $-4,4^{\circ}\text{C}$ -ზე ( $24^{\circ}\text{F}$ ), მაგრამ, რამდენიმე საათი- $-3,3^{\circ}\text{C}$ -ზე ( $26^{\circ}\text{F}$ ) უკვე აზიანებს მას. მწიფე ზილი სიცივის მიმართ უფრო გამძლეა, ვიღრე დაუმწიფებელი. ზაფხულში ან შემოდგომაზე აზოტოვანი სასუქების გამოყენებამ შეიძლება

გამოიწვიოს ნერგის ნაადრევი განვითარება, რომელიც ზამთრის განმავლობაში ნაკლებად ყინვაგამძლე იქნება. აზოტოვანი სასუქის შეტანა უმჯობესია გაზაფხულის დასაწყისში, რადგან ის მცენარის განვითარებას შეანელებს და შემოდგომაზე მას უფრო ყინვაგამძლეს გახდის.

#### ციტრუსის ხეების დაცვა

იმ სუბტროპიკულ არებში, სადაც წაყინვები ჩვეულებრივი მოვლენაა, 1-3 წლის ციტრუსის ხეებს ესაჭიროებათ ყინვებისაგან დაცვა. ხეების დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის მათი შეფუთვა.

შეფუთვისას უნდა მოხდეს ჩამოთვლილი მოთხოვნების დაცვა:

მცენარე უნდა შეიფუთოს მთლიანად, შესაფუთი უნდა დამაგრდეს მიწასთან რაც შეიძლება ახლოს, შესაფუთი უნდა მოიხსნას შემდეგ დილას, როგორც კი ტემპერატურა მოიმატებს.

შესაძლოა ერთად შეიფუთოს მოზარდი ხეების მთლიანი მწყრივი.

ხეების შუა ნაწილზე შესაძლოა სითბოს წყაროს დამაგრება.

#### მორწყვა

მორწყელი ციტრუსის ზე უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე მოურწყავი. მორწყვას შეუძლია  $1-2^{\circ}\text{C}$ -ით შეარბილოს ყინვა. ყინვისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებაა დაწვიმებით რწყვა.

#### ყინვის შემდეგ

ყინვის შემდეგ აუცილებელია გაყინული ხილის რაც შეიძლება სწრაფად ჩამოკრეფა და მისი დაუყოვნებლივ გამოყენება. ყინვისაგან დაზიანებული ხეების გასხვლა იქამდე არ უნდა მოხდეს, სანამ ყინვის შედეგად მიყენებული დაზიანება მთლიანად არ განისაზღვრება, ძირითადად გაზაფხულამდე. თუკი ყინვისაგან ციტრუსის ზეს დაზიანება არ მიუღია, გაზაფხულამდე უნდა მოხდეს ნარგავების მორწყვა და სასუქების შეტანა. უნდა განისაზღვროს სასუქის რაოდენობა, რადგან მისმა სიჭარბემ შეიძლება უფრო მეტი ზიანი გამოიწვიოს.

კლიმატის ცვლილების გავლენით შესაძლოა გახშირდეს ყინვები საქართველოს შავიზღვისპირეთში, ამიტომ, აუცილებელი იქნება მეურნეობებში უკვე არსებული ციტრუსოვანი ნარგაობების შესაბამისი დაცვა ყინვებისგან, ახალი ყინვაგამძლე სახეობების შემოტანა და დანერგვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბრიელი ზ., ციტრუსის აგროტექნოლოგია, თბილისი, 2015, [www.srca.gov.ge](http://www.srca.gov.ge)
2. Fake C., Norton M., Avoiding Cold Damage to Home Citrus, UC Cooperative Extension, 2012
3. Morton, J., Orange, Citrus sinensis. In: Fruits of Warm Climates. NewCROP, New Crop Resource Online Program, Center for New Crops and Plant Products, Purdue University, 1987
4. Nicotra A., Mandarin-like Hybrids of Recent interest for Fresh Consumption. Problems and Ways of Control, 2001
5. Oswalt C., Hurner T., Citrus Cold Protection Practices, University of Florida, 2012
6. Sauls, J. W., Jackson, L. K. Cold-Hardy Citrus for North Florida. University of Florida, IFAS Extension, 1982
7. Velasco, R; Licciardello, C. A genealogy of the citrus family. Nature Biotechnology. 2010

## Effects of Meteorological Events on Citrus Plants

**Giorgi Khomasuridze**  
Doctoral Student,  
Tbilisi State University

### Abstract (Internet Version)

Many of natural events can damage citrus plants, especially frosts. When frost or freezing temperatures are predicted, precautions must be taken in order to minimize damage to the citrus trees and fruit.

Trifoliate is the most cold hardy citrus. Clementines and other mandarin varieties are slightly less cold hardy. Oranges and lemons are also less cold hardy than mandarins

In mitigating these potential adverse effects, farmers should consider all the available methodologies – including passive and active cold protection practices, because a few degrees temperature can have a significant effect on freeze damage citrus plants.

### **3. უცყვატი სწავლების დარბაზი** **Continuous Studying Hall**

---

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აკადემიკოსი  
ომარ ქეშელაშვილი

#### **ლექცია 20 ფარგერული მაურნეობის გენეზები**

**20.3. გენეზების სრულყოფის სამციფრული  
ეპონომიკური მახასიათებლები და მათი განსა-  
ზღვრა**

**23.3.1. ფარგერული მაურნეობის მიმართულების (საე-  
ციფრულის) განსაზღვრა**

ფერმერული მეურნეობის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის  
დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სპეციალიზაციის განსაზღვრასა და  
სწორად განჭვრებას.

ამისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი  
ფაქტორები და პირობები:

1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
2. სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფართობები (მიწებით  
უზრუნველყოფა და ხარისხი) და წყლით უზრუნველყოფა;
3. ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან სიახლოეს. ასეთ  
დასახლებათა ახლოს შესაძლებელია მაღლუჭებადი და  
ნაკლებტრანსპორტაციული პროდუქტების წარმოება, რისთ-  
ვისაც გასაღების ბაზარი გარანტირებულია;
4. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელ საწარმო-  
თა სიახლოეს. ამის მხედველობაში მიღებით შეიძლება ვაწა-  
რმოოთ ხილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, რძე, ხორცი  
და ა.შ. ეს ფაქტორი ხელს უწყობს წარმოების სპეციალი-  
ზაციის გაღრმავებას, ბაზრის გაჯერების დონის ამაღლებას;

5. სატრანსპორტო პირობები და გზები (ხელს უწყობს მალუშუჭადი და ნაკლებ ტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოების გადიდებას და მათი დანაკარგების შემცირებას;
6. შრომითი რესურსები. მეურნეობის სპეციალიზაცია სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა იგი უზრუნველყოფილი წარმოების ამა თუ იმ ტექნოლოგიის მცოდნე და კვალიფიციური მუშახელით.

სამუშაო ძალით კარგად უზრუნველყოფილ მეურნეობებში განვითარებული უნდა იყოს ინტენსიური დარგები—მევენახობა, მებოსტნეობა, მერძეული მესაქონლეობა და ა.შ., რომლებიც ცოცხალი შრომის დანახარჯებს მოითხოვებ.

სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ მეურნეობებში ირჩევენ ისეთ დარგებს, რომლებიც ნაკლებ შრომით დანახარჯებს მოითხოვენ, კერძოდ: მარცვლეულ კულტურებს, მელორეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდასა და სუქებას და ა.შ.

ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღოს ფერმერმა, ეს არის: 1. მეურნეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა და 2. დარგთა რაციონალური შეთანა-წყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი მოგება.

ფერმერმა ამ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს საქართველოს თითოეულ რეგიონში ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და გაძლიერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და პირუტყვის შენახვის ახალი ტექნოლოგიები და სხვა ფაქტორები.

ანდა, შესაძლოა, მან, სრულიად ახალი და ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელიც არანაკლები ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ადრე, გამართლებულად მიჩნეული მიმართულებების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა კონცენტრაცია და ორიენტაციის აღება იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას და შესაბამისად, მეურნეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია დაადგინოს სპეციალიზაციის დონე (კოუფიციენტი) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\delta_v = \frac{100}{\sum b_v(2X_b - 1)}$$

სადაც:

ქს – არის სპეციალიზაციის კოეფიციენტი;

ხფ – ცალკეული დარგის (კულტურის, პროდუქციის) ხვედრი-  
თი წონა მეურნეობის მთლიან სასაქონლო პროდუქციაში;

б – სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონის რიგითი ნო-  
მერი (მისი სიდიდის რიგის მიხედვით);

Σ - ჯამის აღმნიშვნელია.

მაგალითად, ფერმერულ მეურნეობაში მეხილეობის სასაქო-  
ნლო პროდუქციას უკავია 64.0%, საშემოდგომო ხორბლისას –  
20.0%, სიმინდისას – 12.0%, მესაქონლეობას – 4.0%.

ამ მონაცემებს თუ ფორმულაში ჩავსვამთ,  
მივიღებთ:

$$\begin{aligned}\hat{x}_t &= \frac{100}{64(2X_1-1)+20(2X_2-1)+12(2X_3-1)+4(2X_4-1)} = \\ &= \frac{100}{64+60+60+28} = \frac{100}{212} = 0.47\end{aligned}$$

თუ სპეციალიზაციის კოეფიციენტი 0.20-მდეა, ეს ნიშნავს  
სუსტ სპეციალიზაციას, 0.20-0.40-მდე საშუალო დონეს, 0.40-დან  
0.60-მდე მაღალ დონეს, 0.60-ზე ზევით ღრმა სპეციალიზაციას.

### 20.3.2. ფერმერული მეურნეობის სიდიდის დადგენა

ფერმერული მეურნეობის სიდიდის ძირითად მაჩვენებლად მიღებულია წარმოებული საერთო პროდუქციის მოცულობა ფულად გამოხატულებაში, არაპირდაპირი მაჩვენებლებია: სასოფლო-სამეურნეო საკარგულების და სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურების ფართობები, პირუტყვის სულადობა.

მეურნეობის სიდიდეზე გადამწყვეტი გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, საწარმოო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლო დონე. ამას გარდა, მასზე გავლენას ახდენს:

- მეურნეობის საწარმოო მიმართულება (სპეციალიზაციის ხასიათი);
- წარმოების ორგანიზაციისა და მართვის (მენეჯმენტის) დონე;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების განლაგება და სიახლოვე;
- ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია;
- კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, გზებისა და სხვა მდგომარეობა.

ფერმერული მეურნეობა უნდა იყოს არა მსხვილი, არამედ ოპტიმალური სიდიდის, რომელიც საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენოს მიწა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შრომითი რესურსები, უზრუნველყოს მომგებიანი საქმიანობა.

### 20.3.3. სასოფლო-სამეურნეო პულტურების გარანტირებულად მომზადიანი მოსავლიანობის დონის განსაზღვრა

ფერმერული მეურნეობის წარმატებული და სტაბილური მუშაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა დონის მოსავლიანობის პირობებში ექნება მას უზრუნველყოფილი გარანტირებული მოგება.

მოსავლიანობის ასეთი დონის დადგენას მოსავლიანობის დაპროგრამება ჰქვია. ახლა მოსავლიანობის დაპროგრამება მეცნიერთა ფართო შესწავლის საგანს წარმოადგენს. ამ დონს საჭიროა გათვალისწინებული იქნას მცენარისათვის სასიცოცხლო ფაქტორების ოპტიმიზაციის მიღწევა.

მოვიტანოთ სიმინდის გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის დონის დაპროგრამების (განსაზღვრის) კონკრეტული მაგალითი (ი. ახალბედაშვილის მიხედვით):

ფერმერი თუ აპროგრამებს 50 კ/ჰა სიმინდის მარცვლის მოსავლს, ამ შემთხვევაში მარცვალში მშრალი ნივთიერება იქნება 43.0 კ/ჸა, ხოლო შესაბამისად ჩალის მოსავლი – 64.5 კ/ჸა.

ერთი ცენტრერი სიმინდის მარცვლით მცენარეს ნიადაგიდან გამოაქვს 1.5 კგ. აზოტი, 0.8 კგ. ფოსფორი და 0.5 კგ. კალიუმი, ხოლო ჩალას შესაბამისად: 0.7 კგ, 0.25 კგ და 1.5 კგ.

როდესაც ნიადაგში იმდენია საკვები ნივთიერებები, რომ სასუქების შეტანის გარეშე მცენარეს შეუძლია მოგვცეს მშრალი მარცვალი 24.1 კ/ჸა, ხოლო ჩალა – 36.1 კ/ჸა, მაშინ ნიადაგში შესატანი საკვები ნივთიერებები უნდა ვიანგარიშოთ მხოლოდ დაპროგრამებული (სასურველი) მოსავლის ნამატისათვის 18.9 ცენტრერი მარცვლის (43.0–24.1) და 28.4 ცენტრერი ჩალისათვის (64.5–36.1).

18.9 კ. მარცვლის შესაქმნელად მცენარეს დასჭირდება აზოტი 28.4 კგ ( $1.5 \cdot 18.9$ ), ფოსფორი 16.3 კგ ( $0.87 \cdot 18.9$ ) და კალიუმი 9.5 კგ ( $0.5 \cdot 18.9$ ), ხოლო 28.4 კ. ჩალისათვის, შესაბამისად – 19.9, 7.1, 42.6; სულ საჭირო იქნება აზოტი 48.3 კგ, ფოსფორი 23.4 კგ და კალიუმი 52.1 კგ.

შესატანი მინერალური სასუქების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$\text{სდ} = \frac{\text{მგე} \cdot 100}{\text{სგკ}}$$

სადაც:

სდ – არის სასუქების დოზა;  
 მგე – მოსავლის მატებით გამოტანილი საკვები ელემენტები;  
 სგპ – საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი.  
 ჩვენი მაგალითის მიხედვით, ფერმერმა დაპროგრამებული  
 მოსავლის ნამატის მისაღებად უნდა შეიტანოს:

$$\text{აზოტი} \quad \frac{48.3(28.4 + 19.9) \cdot 100}{60} = 80.5 \text{კგ}$$

$$\text{ფოსფორი} \quad \frac{23.4(16.3 + 7.1) \cdot 100}{25} = 93.6 \text{კგ}$$

$$\text{კალიუმი} \quad \frac{52.1(9.5 + 42.6) \cdot 100}{60} = 87.0 \text{კგ}$$

მინერალური სასუქების გამოყენებას უნდა შეეთანაწყოს  
 რწყვისა და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული გატარებაც.  
 მინიმალური მოსავლიანობა, რომლის დროსაც სასაქონლო  
 კულტურა მომგებიანი იქნება ფერმერულ მეურნეობაში, შეიძლება  
 განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$\text{მმ} = \frac{\text{სხ} + \text{წშ}}{\text{სფ}}$$

სადაც:

მმ – არის მინიმალურად გარანტირებული მომგებიანი  
 მოსავლის დონე;  
 სხ – საწარმოო დანახარჯები 1 ჰა-ზე, ზედნადები ხარჯების

ჩათვლით;

წშ – წმინდა შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს  
 რეალურ გაფართოებულ კვლავ-წარმოებას;

სფ – 1ც. პროდუქციის სარეალიზაცია ფასი.

კონკრეტული მაგალითისათვის, ამ ფორმულაში თუ ჩავსვამთ  
 პირობით ციფრებს, მივიღებთ:

$$\text{მმ} = \frac{800 + 200}{25} = 40 \text{ც/ჰა}$$

ე.ი. გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის მინიმალუ-  
 რად მოსალოდნელი დონე უნდა იყოს 40 ც/ჰა.

#### 20.3.4. პირითადი ფონდების ამორტიზაციის გაანგარიშება

ფერმერულ მეურნეობას სხვა წყაროებთან ერთად აქვს დაფინანსების ერთი სპეციფიკური წყაროც და მას მოგებისაგან განსხვავებით აქვს სპეციალური დანიშნულება. ეს არის სამორტიზაციო ფონდი. ამ ფონდს მეურნეობა იყენებს ორგორუც კაპიტალური დანახარჯების დამატებით საშუალებას.

როგორც წესი, ადრე თუ გვიან შენობები ითხოვს კაპიტალურ რემონტს, ტექნიკა, მოწყობილობები და დანადგარები ძველდება და თანდათანობით გამოდის მწყობრიდან. ამავდროულად ბაზარზე ჩნდება ახალი ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები. ღება მომენტი, როცა მეურნეობისათვის აღარ არის მიზანშეწონილი (მიმღებანი) ამ მოძველებული და ამორტიზირებული ტექნიკის გამოყენება, ამიტომ, უნდა შეიძინოს ახალი. ეს დიდ ხარჯებს მოითხოვს და ამ დროს მას დამხმარედ ევლინება საამორტიზაციო ფონდი.

საიდან აიღება საშუალებები ამ ფონდში? იგი იქმნება ძირითადი ფონდების სამორტიზაციო ანარიცხებიდან.

ამორტიზაცია ნიშნავს ძირითადი საშუალებების ღირებულების თანდათანობით დაკარგვას და იმ პროცესიაზე გადაცემას, რომლის შექმნაშიც იგი მონაწილეობს. ეს არის ძირითადი საშუალებების ღირებულების განახლება ფულადი ფორმით. ამორტიზაციის ფონდი იქმნება ცვეთის ღირებულების საფუძველზე. იგი წარმოადგენს ფულად საშუალებებს, რომელიც დაიხარჯება გაცვეთილი ძირითადი საშუალებების შესაცვლელად ან მათი კაპიტალური რემონტისათვის.

მაგ. მეურნეობამ შეიძინა სატვირთო ავტომანქანა, რომელიც ღირდა 25 000 ლარი, გაანგარიშებულია, რომ იგი ემსახურება მეურნეობას 8 წლის განმავლობაში. 25 000 ლარი არის პირველადი ღირებულება, 8 წელი მომსახურების ვადა. ეს მანქანა თანდათანობით ძველდება, რასაც ეკონომიკაში ცვეთა ეწოდება. ცვეთა აისახება არა მარტი გარეგნულ მხარეში, არამედ მის ღირებულებაშიც, ამიტომ, ყოველწლიურად მის თავდაპირველ ღირებულებას აკლდება გარკვეული თანხა.

დაგუშვათ, რომ ყოველწლიურად სატვირთო მანქანა „იაფდება“ 3000 ლარით (ეს სამორტიზაციო ნორმაა, რომელიც დადგენილია და მოჰყება ძირითად ფონდებს), მაშინ I წლის ბოლოს იგი ეღირება 22000 ლარი (25000 – 3000), II წლის ბოლოს იგი ეღირება 19000 ლარი (22000 – 3000), მე-8 წლის ბოლოს მისი ღირებულება იქნება  $25000 - 3000 \cdot 8 = 1000$  ლარი.

ამ სიდიდეს ეძახიან სალიკვიდაციო ღირებულებას.

პროცესს, რომელიც აქ ავსახეთ, ამორტიზაცია ჰქვია, ხოლო სიდიდეს-3000 ლარს-საამორტიზაციო ანარიცხები, რომლითაც იქმნება საამორტიზაციო ფონდი.

საამორტიზაციო ანარიცხების (ნორმის) დადგნა (განსაზღვრა) შეუძლია თვით ფერმერულ მეურნეობასაც.

საამორტიზაციო (ანუ დაგროვილი) ფონდი ხმარდება ახალი ძირითადი საშუალების შემცნას.

საამორტიზაციო ნორმის გაანგარიშება შეიძლება შემდეგი ფორმულით:

$$\alpha = \frac{(თღ + დკ + დმ + სღ) \cdot 100}{ევ \cdot თღ}$$

სადაც:

ან – არის ამორტიზაციის წლიური ნორმა (პროცენტობით);

თღ – ძირითადი ფონდების თავდაპირველი, საბალანსო ღირებულება (ლარი);

დკ – დანახარჯები კაპიტალურ რემონტზე (ლარი);

დმ – დანახარჯები ძირითადი ფონდების მონტაჟზე (ლარი);

სღ – ექსპლუატაციიდან გასვლის შემდეგ ძირითადი ფონდების სალიკვიდაციო ღირებულება (ლარი);

ევ – ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის ვადა (წელი).

მაგ., ფორმულაში შევიტანოთ პირობითი სიდიდეები:

$$\begin{aligned} \alpha &= \frac{(12000 + 5000 + 1000 - 1000) \cdot 100}{8 \cdot 12000} = \\ &= \frac{1700000}{96000} = 17.7\% \end{aligned}$$

როგორც ჩანს, ყოველწლიურად საამორტიზაციო ფონდში უნდა გადაირიცხოს 2124 ლარი (12000-ის 17.7%).

### 20.3.5 პრედიტის მიღების ფასი და მასზე მოთხოვნილების გაანგარიშება

ზოგიერთ შემთხვევაში ფერმერულ მეურნეობას სჭირდება კრედიტი (კრედიტის მისაღებად საჭიროა ბიზნეს-გეგმა, მეურნეობის გადახდისუნარიანობის დასადასტურებლად). ამისათვის მან სწორად უნდა გათვალის, რომ კრედიტის აღება მისთვის სასარგებლო იქნება თუ არა.

ფერმერული მეურნეობა კრედიტს მიიღებს იმ პირობებში, თუ საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) დარწმუნდება იმაში, რომ მეურნეობა გადახდისუნარიანია, გააჩნია სტაბილური საკუთარი კაპიტალი და სათანადო გათვლებით დადასტურებულია მის მიერ რეალურად მისაღები საკმარისი მოცულობის მოგება.

ასეთი გათვლები, ჩვეულებრივ, მოცემულია ფერმერული მეურნეობის ბიზნეს-გეგმაში.

კრედიტის მისაღებად საჭიროა მიუთითონ კრედიტის გამოყენების მიზანი, ვადები, დანახარჯების გამოსყიდვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მიწაზე საკუთრების ან იჯარის უფლებისა და დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მოკლევადიანი კრედიტი (ერთ წლამდე) გაიცემა მიმდინარე საწარმოო დანახარჯების უზრუნველსაყოფად, გრძელვადიანი კი-საწარმოო და სხვა ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ან სხვა ძირითადი ფონდების შესაქმნელად (ყიდვის ჩათვლით) და გასარემონტებლად (10 წლამდე). სესხის დაფარვა უნდა დაიწყოს მისი მიღების მეორე წლიდანვე.

საშუალოვადიანი სესხი მიეცემა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების შესაძნად და ა.შ.

კრედიტის ასაღებად შეიძლება დაგირავდეს მეურნეობის მიწის ნაკვეთი, შენობები და ა.შ.

მიწის ნაკვეთი იპოთეკით (გირავნობა) შეიძლება დაიტვირთოს მთლიანად, თუ ფერმერულ მეურნეობას ეძლევა უპროცენტო სესხი.

კრედიტის მიზნობრივი გამოყენება კონტროლდება შესაბამისი ორგანოების მიერ. მისი არამიზნობრივი გამოყენების გამო გამოწვეული დანაკარგები უნდა აანაზღაუროს სესხის მიმღებმა.

კრედიტზე მოთხოვნილების გაანგარიშება რამდენადმე როგორია. ნიმუში მოცემულია ქვემოთ (ლ. რატიანის მიხედვით).

კრედიტების მიღება და გადახდა, ნაღდი ფულის მიმოქცევის  
სარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით, კვარტალების  
მიხედვით/ლარობით/

სარჯთაღრიცხვის ელემენტები	I კვარტ.	II კვარტ.	III კვარტ.	IV კვარტ.
ნაღდს მინუს მოთხოვ- ნილება	-2000	-54000	7000	94400
გადარიცხვა დაგრო- ვების ფონდიდან	3500	-	-	0
ფულადი ბალანსი კრე- დიტის მიღებამდე	1500	-54000		0
გადახდა		55000		0
პროცენტები				17800
ძირითადი გალი			5800	71200
გადარიცხვა ფონდში				4000
დანაზოგი				
ფულადი ბალანსი კვარტლის ბოლოს	1500	1000	1200	1400
ნასესხები საშუალებების საერთო ბალანსი	120000	175000	169200	9800

განვმარტოთ ცხრილის მონაცემები (ეს მოდელი ტიპიურია):

პირველ კვარტალში სხვაობა „ნაღდს მინუს მოთხოვნილება“ გვიჩვენებს დეფიციტს 2000 ლარს. ეს დანაკლისი რომ დაფაროს, ფერმერი არ იღებს კრედიტს, იყენებს 3500 ლარს დანაზოგიდან, რის შემდეგაც ბალანსი კვარტლის ბოლოს შეადგენს 1500 ლარს.

მეორე კვარტალში „ნაღდს მინუს მოთხოვნილება“ (რომე-  
ლსაც ემატება პირველი კვარტლის ბალანსის 1500 ლარი) იძლევა (დაკუშგათ) დეფიციტს 54.000 ლარს. ამის დასაფარად საკუთარი საშუალებები არ არის საკმარისი, საჭიროა სესხის აღება. ფერმერი იღებს 55000 ლარის სესხს. კვარტლის ბოლოს ბალანსი შეადგენს 1000 ლარს, ხოლო ნასესხები საშუალებების გადაუხდელი ბალანსი გაიზარდა 120 ათასიდან 175 ათას ლარამდე-(120000 + 55000).

მესამე კვარტალში მიღწეულია აქტიური სალდო და ფულადი ნაჭარბი მოდის სესხის დასაფარად. ნასესხები საშუალებების

ბალანსი შემცირდა 169 200 ლარამდე (175000–7000 + 1200). კვარტლის ბოლოს ფულადი ბალანსი ტოლია 1200 ლარის.

მეოთხე კვარტალში მოსალოდნელია ფულად საშუალებათა სიჭარბე, მოსავლისა და პირუტყვის გაყიდვის შედეგად 9 4400 ლარის ოდენობით. აქედან ნაწილი მოხმარდება გაზრდილი პროცენტის დაფარვას—17800 ლარი, ნაწილი—71200 ლარი სესხის დაფარვას, 4000 ლარი დაემატება დანაზოგს. კვარტლის ბოლოს ბალანსი იქნება 1400 ლარი.

როგორც ჩანს, ამ მაგალითის მიხედვით კრედიტის აღებამ გაამართლა და მეურნეობამ გაიუმჯობესა თავისი ფინანსური მდგომარეობა.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გამოიყენოს კრედიტზე მოთხოვნილების გაანგარიშების სხვა, თუნდაც თავის მიერ დამუშავებული მიღვიმებიც, მთავარია, სწორად შესრულდეს გაანგარიშებები იმ პირობით, რომ აღებული კრედიტი გამართლებული იყოს და არ გააუარესოს ფერმერული მეურნეობის საქმიანობა.

ფერმერული მეურნეობა თავსმოხვეულ ანდა ვითომდაც აპრობირებულ ხერხებსა და მეთოდებს სავალდებულო წესით არ უნდა იყენებდეს. მას კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სრული დამოუკიდებლობა. ამდენად, იგი უფლებამოსილია იყენებდეს თავისი სპეციფიკის მიხედვით მოდიფიცირებულ და მორგებულ ეკონომიკურ მეთოდებს, გაანგარიშებების მეთოდებს, აგროტექნიკურ კომპლექსს.

მისი მთავარი მიზანია მოგების მიღება და ამის მისაღწევად, როგორც უნდა და რანაირადაც უნდა იმ მეთოდებითა და მიღვომით წარმართავს თავის საქმიანობას.

ბანკი დაკრედიტების პროცესში ფართოდ და სისტემატიურად აკონტროლებს ფერმერულ მეურნეობათა საფინანსო საქმიანობას, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს (აქტივებს). კრედიტი ამ ფასეულობებით მუდმივად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალის გადახდის გარანტია არ იარსებებს. კრედიტის უზრუნველყოფა განპირობებულია სესხის მიზნობრივი გამოყენებით.

თუ ფერმერული მეურნეობა ხშირად სარგებლობს ბანკის სესხით და ამავე დროს დროული გადამხდელია, ბანკს შეუძლია გაუხსნას ე.წ. „საკრედიტო ხაზი“, რაც იმაში გამოიხატება, რომ დათქმული თანხის ფარგლებში ფერმერს უფლება აქვს საჭიროებისამებრ ისარგებლოს ბანკის სესხით, ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე.

უკანასკნელ ხანს ფერმერთა დაფინანსება-დაკრედიტების საქმეში ფართოდ იკიდებს ფეხს ისეთი პრაქტიკულად გამართლებული

ფორმა, როგორიცაა „ლიზინგი“. ეს არის მანქანა-მოწყობილობების გრძელვადიანი იჯარით გაცემა, როდესაც ნივთი გამქირავებლის საკუთრებაში რჩება.

პრაქტიკაში გამოიყენება ლიზინგური ოპერაციების ორი ძირითადი ფორმა: ფინანსური და ოპერატიული.

ფინანსური ლიზინგი გულისხმობს, რომ დამქირავებელი ხელშეკრულების ვადის პერიოდში იხდის დაქირავებული (იჯარით აღებული) მანქანებისა და მოწყობილობების ამორტიზაციის სრულ თანხას და გამქირავებლის მოგებას. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელმა (მეიჯარემ) უნდა დაუბრუნოს პატრონს (მოიჯარეს) იჯარით აღებული მანქანები და მოწყობილობები ან გამოისყიდოს იგი დარჩენილი ღირებულებით.

ფინანსური ლიზინგის დროს მანქანა-მოწყობილობები გაიცემა ფერმებზე მთელი საამორტიზაციო პერიოდის ვადით.

ოპერატიული ლიზინგის დროს კი ისინი გაიცემა საამორტიზაციო პერიოდზე უფრო ნაკლები ვადით.

### 20.3.6. საქონელზე ფასის დაჭმისაბა

თანამედროვე ფერმერული მეურნეობისათვის მეტად საყურადღებოა, რომ სწორად განსაზღვროს წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასები, ეს თავისთვის განსაზღვრავს მომხმარებელთა არჩევას (შერჩევას) და ბაზრის დაპყრობის დონეს.

მეურნეობა ცდილობს არა მხოლოდ გაყიდოს თავისი წარმოებული პროდუქცია, არამედ გაყიდოს იგი მომგებიანად. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს გამართლება ბიზნესს.

- თუ მეურნეობას ბევრი კონკურენტი ჰყავს (კონკურენციის გარეშე კი წარმოედგენელია ბიზნესი) და იგი განიცდის სიძნელეებს საქონლის გასაღებასთან დაკავშირებით, მაშინ იძულებულია დასწიოს ფასები, რათა მეტი მომხმარებელი მიიჩიდოს და იყოს სიცოცხლისუნარიანი ბაზარზე, მაგრამ ფასების ასეთმა შემცირებამ შეიძლება გასტანოს მანამდე, ვიდრე ეს ფასები უზრუნველყოფს მოგებას.

ამრიგად, ფასების დადგენის პირველი მოსაზრება და პრინციპია - მეურნეობის საცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა;

- მეურნეობა ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. ამიტომ, ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, ეცდება გაყიდოს თავისი პროდუქცია, რაც შეიძლება მაღალ ფასებში.

ამრიგად, მეორე მოსაზრება და პრინციპია - მოგების ზრდა.

- მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დაიკავოს მეტი პოზიციები (მდგომარეობა) ბაზარზე, შეინარჩუნოს საქონელზე მოთხოვნილება, რაც შეიძლება მეტ დროს. ამის მისაღწევად მეურნეობა შეიძლება წავიდეს ფასების დაბლა დაწევაზე.

ამრიგად, მესამე მოსაზრება და პრინციპია - ბაზარზე და საერთოდ, პერსპექტივაში პოზიციების გამყარება.

როგორც ირკვევა, ეს ამოცანები ზუსტად შეესატყვისება ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მიზანს.

ფასების პრობლემის გახსნისათვის მენეჯმენტში და საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაში, სხვადასხვა გრაფიკები და მრუდები განიხილება. არსებობს შესაბამისი მეთოდიკები, მაგრამ საკითხის გართულების თავიდან აცილების მიზნით დაგენერირებოთ გაანგარიშებების იმ მარტივ, საერთოდ მიღებულ პრინციპს, რაც მიზანშეწონილია ფერმერული მეურნეობის კადრებისათვის და მისი მენეჯმენტის დონისათვის.

ამრიგად, განვიხილოთ როგორ გაიანგარიშება ფასების კონკრეტული ციფრობრივი მაჩვენებელი ყველაზე გავრცელებული წესით.

ეს შეიძლება გამოისახოს ფორმულით:  $\text{ფ} = \text{დ} + \text{მ}$   
სადაც:

ფ – არის დასაწესებელი ფასი;

დ – დანახარჯების საკარაულო მოცულობა;

მ – მოსალოდნელი მოგების სიდიდე, რაც სურს მეურნეობას  
მიიღოს პროდუქციის რეალიზაციიდან.

შესაძლებელია ბაზრის რეაქციის ორი ვარიანტი:

1/ სიღიდე „მ“ აღმოჩნდება რეალური, საქონელს შეუფე-  
რხებლად ასაღებენ. მეურნეობას შეუძლია ასწიოს ფასი იმ დონემდე,  
ვიდრე ფასი არ გაუტოლდება უმაღლეს ზღვარს (მ%);

2/ სიღიდე „მ“ აღმოჩნდება საკმაოდ ოპტიმისტური. მეურნე-  
ობა დაბლა სწევს ფასს, ვიდრე საქონელი ვერ ნახავს გასაღების  
ბაზარს. ფასის დაწევა შეიძლება უმდაბლეს დონემდე (დ%,), რის  
შემდეგაც უნდა შეწყდეს საქონლის წარმოება, ანდა განხორციელდეს  
სერიოზული ცვლილებები.

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების დროს ზოგიერთ  
შემთხვევაში შედარებით ნაკლებად (თუ მეურნეობის საქონელი  
სხვადასხვა არხების გარეშე აღწევს პირდაპირ მყიდველამდე (მომხმა-  
რებლამდე), ზოგჯერ კი საკმაო ხარისხით გადის გასაღების როტულ  
გზას წარმოებიდან მომხმარებლამდე, ამას განაწილების ანდა გასა-  
ღების არხები ჰქვია.

ეს გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელი პროდუქციას მიჰყი-  
დის საბითუმო ვაჭრობის ფირმას, ეს უკანასკნელი მიჰყიდის საცალო  
ვაჭრობის ფირმას. საქონლის ფასს, მოძრაობის ამ გზაზე ყოველი  
მონაწილე ფასის გადანგარიშების წესით ადებს თავის დანამატს  
(დანარიცხს – თავისი წილი მოგების მისაღებად).

ვაჩვენოთ კონკრეტული მაგალითი:

ფერმერულმა მეურნეობამ (მწარმოებელმა) წარმოებულ ყურ-  
მებს ყოველ ცენტრზე დაადო ფასი 100 ლარი. ამას დაუმატა  
მოსალოდნელი (საჭირო) მოგება 10 ლარი და მიჰყიდა იგი საბი-  
თუმო ფირმას 110 ლარად.

საბითუმო ფირმა ინახავს საქონელს საწყობში, მაცივარში და  
მის სარეალიზაციოდ მომზადებისათვის ხარჯავს მის ერთეულზე 15  
ლარს, ამის შემდეგ მან ამ ფასს თავისი მოგების წილად კიდევ  
დაუმატა 15 ლარი და პროდუქციის ფასი ხდება 140 ლარი. ამ  
ფასად მან საქონელი (ყურძნი) მიჰყიდა საცალო ვაჭრობის ფირმას.  
ეს ფირმა წევა საორგანიზაციო სამუშაოებს თავისი მაღაზიების  
ქსელში საქონლის გასაყიდად, რისთვისაც ხარჯავს 20 ლარს (ეს  
მისი ხარჯებია), ამან საქონლის ფასი ასწია 160 ლარამდე (140 +

20), ამ ფირმამ ასევე, თავისი წილი მოგების მიღების მიზნით საქონლის ფასს დაამტა დანარიცხი 20 ლარი და საქონლის ფასი უკვე გახდა 180 ლარი.

როგორც ჩანს, პროდუქციის ფასი, ვიდრე მომხმარებლამდე მივა, როგორც გზას გადის და საბოლოოდ შეიძლება იმ დონემდე ავიდეს, რომ საერთოდ არც კი გასაღდეს (გაიყიდოს), რაც გავლენას მოახდენს თვით ფერმერული მეურნეობის მომგებიან ფუნქციონირებაზე, ამიტომ, ეს მეურნეობები უნდა ცდილობდნენ დაამტარონ პირდაპირი კავშირები მომხმარებლებთან ანდა ეცადონ, რომ მათ მიერ წარმოებულმა საქონელმა რაც შეიძლება ნაკლები არხი გაიაროს.

ლოგისტურია, რომ მაგალითად მოტნილი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ცენტნერი ყურძენი 110 ლარად (კილოგრამი 1 ლარად და 10 ოუთრად) წარმატებით გაიყიდება და ფართო ბაზარიც ექნება, ვიდრე 180 ლარად. 110 ლარის დონის შემთხვევაში ფერმერულ მეურნეობას დიდი შესაძლებლობები აქვს არეგულიროს ფასი მაღალ და დაბალ დონეებს შორის და შედარებით ადვილად მიიღოს სასურველი მოგება და ეტაპიბრივად ამაღლოს იგი კიდეც.

ამ კონკრეტული მაგალითიდან აშკარად ჩანს ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის მარკეტინგული ფუნქცია, რომლის რეალიზაციაც გადამწყვეტილად მოქმედებს ამ მეურნეობის მომგებიან და წარმატებულ მუშაობაზე.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია გამოიყენოს გასაღების სტანდარტების სხვადასხვა ფორმა, რომელსაც იგი შეარჩევს და მიზანშეწონილად ჩათვლის. მაგ. შეიძლება ასეთი ფორმაც: 1ც. ყურძენს ყიდის 100 ლარად, 4ც. გაყიდის 350 ლარად და სხვ. ასეთი მიღების სტანდარტების სწორად არჩევას მეურნეობის მენეჯმენტის მაღალი დონე განაპირობებს.

## 20.4. ფერმერული მეურნეობას აღრიცხვის სისტემა

### 20.4.1. აღრიცხვის საკუთარი სისტემა

ფერმერულ მეურნეობაში სწორად აგებული მენეჯმენტი მოი-  
თხოვს ფინანსურ და ეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება  
მიღებული იქნას კარგად ორგანიზებული აღრიცხვის საფუძველზე.

არსებობს აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენების 3 ძირითადი  
მიმართულება: ანგარიშგება, მდგომარეობის ანალიზი და დაგეგმვა.

ფერმერული მეურნეობის საკუთარი აღრიცხვის სისტემა რაც  
შეიძლება მარტივი და იოლად გასაგები უნდა იყოს, მოიცავდეს მხო-  
ლოდ აუცილებელ და დროულ ინფორმაციებს.

აღრიცხვიანობა ფერმერულ მეურნეობაში სახელმწიფო  
მართვის ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება. სახელ-  
მწიფო ამ მეურნეობებზე კონტროლს ახორციელებს მიწათსარგე-  
ბლობის, სახელმწიფო კრედიტის გამოყენების, გადასახადების გადა-  
ხდის, შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვის, პირუტყვის  
დაავადებათა პროფილაქტიკის, გარკვეული ლიცენზის მოთხოვნების  
შესრულების სფეროში.

ფერმერული მეურნეობის საქმიანობის აღრიცხვის რამდენიმე  
ალტერნატიული ვარიანტი არსებობს, ამასთან, თითოეულ ფერმერულ  
მეურნეობას შეუძლია აღრიცხვის საკუთარი სისტემა შეიმუშაოს  
(შექმნას), მაგრამ ყველა შემთხვევაში რეკომენდებულია შემდეგი  
სააღრიცხვო რეგისტრების გამოყენება:

1. ქონების აღრიცხვის ჟურნალი;
2. პროდუქციისა და მასალების აღრიცხვის ჟურნალი;
3. შრომის აღრიცხვის ჟურნალი;
4. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის ჟურნალი;
5. ფინანსური შედეგების უწყისი.

ქონების აღრიცხვა მოიცავს მიწის ფართობს სავარგულების  
მიხედვით, ძირითად საშუალებებს (შენობა-ნაგებობები, მანქანა-მოწ-  
ყობილობები, ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, სამეურნეო  
ინვენტარი, პირუტყვი და ფრინველი, მრავალწლიანი ნარგავობა და  
სხვა ძირითადი ფონდები), საბრუნავ საშუალებებს (მარაგი და პრო-  
დუქცია, სასუქები, შხამ-ქიმიკატები, საწვავ-საცხები მასალები, სამშე-  
ნებლო მასალები, ტარა, მცირევასიანი და სწრაფმცვეთავი საგნები),  
მოზარდი პირუტყვი და პირუტყვი სუქებაზე.

პროდუქციისა და მასალების აღრიცხვის შურნალში ჩანაწერები კეთდება წლის მანძილზე მეცნიერობისა და მეცნიერებლის პროდუქციის წარმოების გამოყენების, რეალიზაციის, შენახვის რაოდენობის შესახებ, აღირიცხება შეძენილი და წარმოების პროცესში დახარჯული საწვავი, საკვები, თესლი, სასუქები, სამშენებლო მასალები და სხვ.

შრომის აღრიცხვის შურნალში აისახება მეურნეობის თითოეული წევრისა თუ დაქირავებული მუშაკის შრომის წვლილი. კეთდება ჩანაწერები წლის მანძილზე თითოეული წევრის ნამუშევარი დროის (დღე, საათი) და შესრულებული სამუშაოების შესახებ. აღირიცხება აგრეთვე წლის მანძილზე მათვის გადახდილი თანხაც და შრომის ანაზღაურების ანგარიშით გაცემული პროდუქტები და სხვ.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის შურნალში აღირიცხება შემოსავლების, გასავლების, ფულად სამუშალებათა მოძრაობა. ყველა ჩანაწერი კეთდება სამეურნეო ოპერაციების დამთავრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ფინანსური აღრიცხვის შურნალში დანახარჯები უნდა დაჯგუფდეს შემდეგნაირად: მასალების შეძენა; ხელშეკრულებით მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურება; საამორტიზაციო ანარიცხები; სხვა ორგანიზაციების მომსახურების ანაზღაურება; მიწის ან საიჯარო გადასახადი; სოცდაზღვევისა და ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახადები; კრედიტის პროცენტი; ძირითადი საწარმოო ფონდების რემონტის დანახარჯები და სხვა დანახარჯები.

ყოველი თვის ბოლოს ფერმერი განსაზღვრავს პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან მიღებულ თვიურ ამონაგებს, ხოლო წლის ბოლოს—მთელი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს. ეს მონაცემები საჭიროა, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, ასევე ბიუჯეტის გადასახადების ოდენობის დასაღვენად.

ფერმერულ მეურნეობებს შეუძლიათ გამოიყენონ ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სისტემა შესაბამისი შურნალის სახით, რომელშიც შეიტანება მხოლოდ აუცილებელი მონაცემები: ფერმერისა და მის კმაყოფაზე მყოფთა ვინაობა, მოსავანი კულტურების დასახელება, წარმოებული პროდუქციის სახები და ოდენობა; ფულადი სახსრების შემოსავალი; ოჯახის შენახვის ხარჯები; შემოსავლები არასამეურნეო საქმიანობიდან; დაქირავებულ მუშაკთა ხელფასი; ინვენტარის აღრიცხვა; პირუტყვის სულადობა; ფულადი შემოსავლების მოძრაობა; წლიური შემოსავლები და წლიური ბალანსი; ინფორმაცია კრედიტისა და ძირითად სამუშალებათა (მიწა, იარაღები, მანქანები, მოწყობილობები) შესახებ.

## 20.5.2. აღრიცხვის კომპიუტერიზაცია

ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერიზაციის სხვადასხვა პროგრამა არსებობს. ზოგიერთი მათგანი შედარებით მარტივია და მორგებულია ფერმერულ მეურნეობებზე.

ასეთი პროგრამები შეუძლიათ გამოიყენონ ფერმერულმა მეურნეობებმა საკუთარ კომპიუტერებში, ზოგიერთი მონაცემი კი აუცილებლად უნდა გააგზავნონ ცენტრალურ გადამამუშავებელ ცენტრში – სტატისტიკის დეპარტამენტში.

ზოგიერთი კომპიუტერული სამსახური (ცენტრი) ეხმარება ფერმერულ მეურნეობებს: დამუშაონ ყოველთვიური ოპერაციების ჩანაწერები, მოუმზადონ საგადასახადო დეკლარაციები, გაუწიონ კონსულტაციები და დაეხმარონ გარიგებებში, ფინანსურ ანალიზში, ბალანსების შედგენაში, ბიზნეს-გეგმის მონაცემების გაანგარიშებაში და სხვა მხრივ, რაც ფერმერული მეურნეობებისთვის სავსებით მისაღები და სასარგებლოა.

მომავალში ფერმერულ მეურნეობებში ფართოდ დაინერგება საკუთარი კომპიუტერული სისტემები.

## 20.5. ფერმერული მეურნეობის მდგრადობისა და მეცნიერების ეპონომიკური შეფასება

### 20.5.1. ფერმერული მეურნეობის მდგრადობისა და გადახდის შენარჩინობის შეფასება

ფერმერული მეურნეობის მდგრადობა გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს საკუთარი სახსრების (შესაძლებლობების) ხარჯზე და რამდენად არის იგი დამოკიდებული გარე დაფინანსების წყაროებზე.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი, უნდა გავიანგარიშოთ საკუთარი და მოზიდული სახსრების შეფარდებითი კოეფიციენტი.

$$\theta = \frac{\text{ვალდებულებები } \text{ მოზიდულ } \text{ სახსრებზე}}{\text{საკუთარი } \text{ სახსრები}}$$

$\theta$  – არის საწარმოს მდგრადობის მაჩვენებელი.

მაგალითი: ვთქვათ, მოზიდული (გრძელვადიანი და საშუალოვადიანი კრედიტები) სახსრები გასულ წელს შეადგინდა 15 000 ლარს; მიმდინარე წელს – 20 000 ლარს; საკუთარი სახსრები შესაბამისად: 20 000 და 25 000 ლარს.

ეს ნიშნავს, რომ გასულ წელს საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე მოდიოდა 75 თეთრი მოზიდული სახსრები,

მიმდინარე წელს – 80 თეთრი.  
როგორც ჩანს, საწარმოს დამოკიდებულება მოზიდულ თანხებზე გაიზარდა და საწარმო თანდათანობით კარგავს თავის ფინანსურ მდგრადობას.

ფერმერული მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მისი გადახდის უნარიანობის შეფასება.

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას მოკლე ვადაში „ჩააქროს“ მთელი თავისი მიმდინარე ვალდებულებები, ე.ი.

გაანალიზოს მოკლევადიანი კრედიტები. რამდენად სწრაფად შეუძლია საწარმოს ამის გაკეთება, ეს დამოკიდებულია საკუთარი ფულადი სახსრების მოცულობაზე.

საწარმოს შეუძლია იმუშაოს საკმაოდ წარმატებულად: პქნდეს მაღალი მოგება, მცირე დავალიანებები კრედიტის მიმართ, მაგრამ ამასთან, მისი გადახდისუნარიანობა შეიძლება იყოს დაბალი, თუ მის ბალანსზე თითქმის არ არის საკუთარი ფულადი სახსრები. საწარმოს მთელი სახსრები არსებობს მზა პროდუქციის ან ნედლეულის რეზერვების სახით, რამეთუ ისინი შეიძლება მიიღოს მომხმარებლიდან, მაგ. უკვე შესყიდული, მაგრამ ჯერ აუნაზღაურებელი საქონელიდან.

იმ დროს, რომელიც შეიძლება მოხმარდეს ამ მატერიალური სახსრების ფულად ფორმაში ქცევას, ლიკვიდურობა ჰქვია. რაც ნაკლებია ეს დრო (პერიოდი), მით მეტია საიმუდოობა იმისა, რომ საწარმო დროულად დაფარავს თავის დავალიანებას და შესაბამისად, მაღალი იქნება მისი გადახდისუნარიანობაც.

გადახდისუნარიანობა გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{სს}}{\text{გ/უ}} = \frac{\text{სს}}{\text{მვ}}$$

სადაც:

გ/უ – არის ფერმერული მეურნეობის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი;

სს – მეურნეობის (საწარმოს) საბრუნავი (ფულადი) სახსრები;

მვ – მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი.

მაგალითი: მეურნეობის ბალანსზე არის: 1/ საბრუნავი საშუალებები (ნედლეულის, მასალების, პროდუქციის მარაგი, ფულადი სახსრები სააგარიშსწორებო ანგარიშზე) – 19 000 ლარი; 2/ მოკლევადიანი კრედიტი – 9 000 ლარი.

გადახდისუნარიანობა უდრის: 19 000 : 9 000 = 2.11.  
მეურნეობის გადახდისუნარიანობა დამაკმაყოფილებელია მაშინ, თუ ეს კოეფიციენტი უდრის 2–2.5.

## 20.5.2. ფერმერული მეურნეობაის მარკეტის ეპონომიკური შეზასხვა

მენეჯერისა და მთლიანად მმართველობითი სისტემის შეფასების მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა: ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებად. ეს მეთოდები ეყრდნობა საყოველთაოდ მიღებულ მაჩვენებლებს:

1. ხარისხობრივი მაჩვენებლები (საიმედოობა; მოქნილობა; გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე რეაგირების უნარი; მენეჯერის პირადი თვისებების კომპლექსი. ეს მაჩვენებლები ასახავენ „ადამიანურ“ ფაქტორებს და გამოიხატებან ბალებში);

2. რაოდენობრივი მაჩვენებლები (წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი; მოგება; შრომის ნაყოფიერება; პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა; საწარმოო დანახარჯების გამოყენების ეფექტოანობა; თვითღირებულების შემცირება და ა.შ.);

3. ფინანსური, მატერიალური და მრომითი რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები;

4. სპეციფიკური მაჩვენებლები (მართვის აპარატის სიდიდე; მის შენახვაზე გაწეული ხარჯები; მართვის აპარატის თანამშრომელთა ხელფასების ხედირითი წილი ხელფასების მთლიან ფონდში; კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის დონე; მმართველობითი შრომის ტექნიკური აღჭურვის დონე და ა.შ.).

არსებობს მართვის ეფექტიანობის განსაზღვრის რამდენიმე მიმართულება, მაგრამ ყველა როდი იძლევა ზუსტი დასკვნების გამოტანის საშუალებას, რადგან თითოეულ მათგანში ვერ ხერხდება მართვაზე მომქმედი ყველა ფაქტორის გავლენის ასახვა. ზოგიერთი ცალკე გამოპყოფებული გამოთვლითი ტექნიკისა და კომპიუტერული სისტემის როლს მენეჯმენტში. არსებობს ეფექტიანობის შეფასების კომპლექსური მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდიც, მაგრამ მეთოდების ამ არსენალის გამოყენება უზრუნველი დონის მეურნეობის მენეჯერისათვის საქმის ძალად გართულებას წარმოადგენს.

უერმერული მეურნეობის მენეჯერისთვის მიზანშეწონილია გაანგარიშებისა და აღრიცხვის სისტემის სიმარტივე, მოქნილობა და არა გართულება და თავგზის აპნევა.

თუ იგი მოინდომებს წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რამდენად ეფექტურია მისი მენეჯმენტი, ამისათვის შეუძლია ისარგებლოს შემდეგი მარტივი ფორმულით, რომელიც საერთო წარმოდგენას შეუქმნის ამ საკითხზე. აი, ეს ფორმულაცია:

$$\text{მეფ} = \frac{\text{წშ} (\text{ან } \text{წგ})}{\text{მდ}}$$

სადაც:

მეფ – არის მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობა;

წშ – საწარმოო-კომერციული საქმიანობის საბოლოო შედეგები /ლარი/;

(ან წშ – წარმოების წლიური მოგება) – მიღებული მთლიანი პროდუქციის ღირებულებისა და მომსახურებიდან მიღებული ღირებულების ჯამი /ლარი/ ანდა (მეორე ვარიანტი) მურნეობის საქმიანობიდან მიღებული მოგება – ლარი);

მდ – მმართველობითი დანახარჯები (ლარი);

მაგ., თუ წშ უდრის 1 000 000 ლარს,

მდ უდრის 5 000 ლარს,

მაშინ მეფ იქნება 200 ლარი.

ეს ნიშნავს, რომ მმართველობაზე გაწეული თითოეული ლარის უკუგების მაჩვენებელია 200 ლარი (მთლიანი შემოსავალი – წშ).

ანდა, თუ ამ მაჩვენებელს მოგების მიხედვით ვიანგარიშებთ და დავუშვებთ, რომ:

წშ (წარმოების წლიური მოგება) შეადგენს 8 000 ლარს და მდ –

უდრის 5 000 ლარს, მაშინ ფორმულაში მეფ =  $\frac{\text{წშ} \cdot 100}{\text{მდ}}$ , ამ

ფიფრების ჩასმით მივიღებთ, რომ მეფ =  $\frac{8000 \cdot 100}{5000} = 160\%$

ეს ნიშნავს, რომ მმართველობაზე გაწეული დანახარჯების უკუგება 160%-ია, ანუ მასზე გაწეული თითოეული ლარი ნაზღაურდება 1.6 ლარის მოგებით.

ყოველ ფერმერულ მეურნეობას შეუძლია დაადგინოს ამ მაჩვენებელთა საკუთარი ნორმატივი და მიიჩნიოს იგი ამოსავალ ბაზად, ყოველწლიური ანალოგიური მონაცემები შეუპირისპიროს მას, გააკეთოს დასკნები და დასახოს ღონისძიებები მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

## 4. ტერმინები Terms

---

ომარ ქეშელაშვილი-  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

### 4.1. გარკეტინგი

მარკეტინგი ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი რენტაბულია, მას საბაზრო ეკონომიკის სისტემასაც უწოდებენ.

საბაზრო ურთიერთობებს, ყიდვა-გაყიდვისა და გასაღების სხვადასხვა ფორმისა და სისტემის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ მეცნიერება თვით მარკეტინგის შესახებ XX საუკუნის დასაწყისში ჩაისახა.

ეკონომიკურ აზროვნებაში თანდათან უფრო ფართოდ დაეთმო ადგილი მარკეტინგის, როგორც ერთიანი სისტემის ცალკეულ ელემენტებს, საბაზრო საქმიანობის ცალკეულ პრობლემებს. მეცნიერები აყალიბებენ ბაზართმცოდნე-ობის საფუძვლებს, პრინციპებს, ფორმებს, ფუნქციებს, მოთხოვნებს და ა.შ. 20-იანი წლებიდან უკვე მკვიდრდება მარკეტინგის ცნება, როგორც მიმოქცევის სფეროში მრავალფეროვანი საქმიანობის გამომხატველი.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ამერიკაში, ინგლისში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში სწრაფად დაიწყო მარკეტინგის პრაქტიკული რეალიზაცია. დიდი და ცნობილი ფირმები და საწარმოები („ჯენერალ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „მაკდონალდსი“ და სხვ) გარდაიქმნენ მარკეტინგის პრინციპების შესაბამისად. ამან ხელი შეუწყო წარმოების პოტენციალის განმტკიცებას, წარმოებისა და რეალიზაციის სისტემის სრულყოფას, მიმოქცევის სფეროს პრიორიტეტის ამაღლებას, რამაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო გაამწვავა კონკურენცია. ამან აიძულა კაპიტალისტები უფრო და უფრო ახლოს მისულიყვნენ მარკეტინგთან, როგორც მეცნიერულ სისტემასთან და უნარიანად გამოეყენებინათ მისი მოთხოვნები საქმიანობაში.

მარკეტინგის სხვადასხვა განმარტება არსებობს, მას განიხილავენ როგორც სამეწარმეო საქმიანობას, როგორც შეხვდულებათა სისტე-

მას, როგორც ბიზნესის ფილოსოფიას. ზოგი მარკეტინგს აიგივებს გასაღებასთან და სტიმულირებასთან.

ფილიპ კოლტერის განმარტებით, მარკეტინგი—ეს არის ადამიანთა საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია მოთხოვნილების, მოხმარების დასაქმაყოფილებლად, გაცვლის საშუალებით.

მარკეტინგი—ეს არის ბაზართან მუშაობა გაცვლების განსახორციელებლად, რომლის მიზანია ადამიანის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განმარტავს, რომ გაცვლები სულაც არ არის მარკეტინგის მნიშვნელოვანი ელემენტი, იგი მხოლოდ მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

ჯ. მერმანის გაგებით, მარკეტინგი—ეს არის საქონელზე, მომსახურებაზე, ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, ტერიტორიაზე, იდეებზე მოთხოვნის წინასწარმეტყველება, მართვა და დაკმაყოფილება გაცვლის მეშვეობით.

მარკეტინგი წარმოსდგება ინგლისური სიტყვისაგან ბაზარი და უნდა ითარგმნოს, როგორც ბაზრის სფეროში საქმიანობა, უფრო სწორია გამოვხატოთ როგორც ბაზართმცოდნეობა.

სხვადასხვა მეცნიერის განმარტებების, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე თანამედროვე გაგებით მარკეტინგი უნდა განიმარტოს, როგორც: პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის კომპლექსური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად და მოგების მისაღებად ბაზრის გამოკვლევისა და პროგნოზირების, საწარმო-ექსპორტიორთა შიდა და გარე გარემოს შესწავლის, ბაზარზე საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავების საფუძველზე.

ამრიგად, მარკეტინგი ეს არის საბაზრო ეკონომიკის სისტემა და ლაკონური განმარტებით ბაზართმცოდნეობას ნიშნავს.

ღსანიშნავია, რომ პრაქტიკულ მარკეტინგში განასხვავებენ ბაზრის სახეებს, რეგიონალურ-მასშტაბური, ფუნქციონური და დროითი ნიშნების მიხედვით.

**რეგიონალურ-მასშტაბური** ნიშნის მიხედვით ბაზარი შეიძლება იყოს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი (რაიონის, ქალაქის, სოფლის და სხვ.);

**ფუნქციონური** ნიშნის მიხედვით: წარმოებული საქონლის ან მომსახურების, ინტელექტუალური (გონებრივი, მეცნიერული პოტენციალის) და სხვ.

**დროითი** ნიშნის მიხედვით: რეალური (აქტიური, უნაყოფო, ფენოვანი-ასიური) და პერსპექტიული (მოსალოდნელი, პროგნოზირებული).

**მარკეტინგს** გააჩნია თავისი პრინციპები, რომელთაგან მთავარია:

1. პროდუქციის წარმოება, რაც ეყრდნობა მომხმარებელთა მო-  
თხოვნილებების ზუსტ ანალიზს, ბაზრის სიტუაციებს და სა-  
წარმოს რეალურ შესაძლებლობებს;
2. მყიდველის მოთხოვნილებების სრული დაქმაყოფილება და  
კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად საშუალებების  
უზრუნველყოფა (ალტერნატიული პრინციპი—საქონლის (მო-  
სახურების) წარმოება, გასაღების მოსალოდნელი ძიებით);
3. დაგეგმილი რაოდენობითა და დასახულ ვადებში პროდუქ-  
ციისა და მომსახურების ეფექტური რეალიზაცია განსაზ-  
ღვრულ ბაზარზე;
4. საწარმოს, საწარმოო-კომერციული საქმიანობის ხანგრძლივ-  
ვადიანი შედეგიანი (მომგებიანი) ფუნქციონირების უზრუნ-  
ველყოფა, რაც გარანტის ქმნის სამუცნიერო-ტექნიკური იდე-  
ებისა და ნამუშევრების შეუფერხებელი რეალიზაციისათვის  
და ამის საფუძველზე ბაზრის სიახლეების შესაბამისად  
წარმოების მოსაწყობად;
5. მწარმოებლის სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობა, მყი-  
დველის მოთხოვნილებების ცვალებადობისადმი აქტიური  
ადაპტაციის მიზნით, მოხმარების ფორმირებასა და სტი-  
მულირებაზე ერთდროული ზემოქმედების გათვალისწინებით.

## 4.2. მომხმარებლის არჩევანის თეორია

მეცნიერები ახლა ფართოდ განიხილავენ ახალ თეორიას (რომელიც ეკონომიკის შეცვლის ეტაპს მოასწავებს) – მომხმარებლის არჩევნის თეორიას. ეს არის ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების აღწერა. ეს თეორია მხოლოდ მოდელია, ხოლო მოდელი სრულიად რეალისტური არც უნდა იყოს.

მომხმარებლის არჩევანის თეორია მიგვითოთხს იმ არაცხად ფსიქოლოგიურ პროცესზე, რომლის დროსაც მომხმარებელმა კარგად იცის, რომ მისი არჩევანი შეზღუდულია თავისივე ფინანსური რესურსებით და ამ შეზღუდვების პრობებში იგი მაქსიმალურად ცდოლობს კმაყოფილების უმაღლესი დონის მიღწევას. ეს თეორია ამ არაცხადი ფსიქოლოგიური პროცესის ცხადი ეკონომიკური ანალიზის საშუალებას იძლევს.

მომხმარებასთან დაკავშირებით ერთი ახალი, საინტერესო დამოკიდებულება უნდა აღინიშნოს: ვაშინგტონის ეკოლოგიური ცენტრის „ვოლდვორ ინსტიტუტის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ პლანეტას ახალი უმთავრესი საფრთხე – „სამომხმარებლო ციუბცხელება“ ემუქრება. განვითარებულ ქვეყნებში გამუდმებით იზრდება მოხმარება. ამ პროცესის შედეგი კი ზედმეტი წონით შეწუხებული ადამიანები, მუდმივად ახალ საქონელზე ნადირობის გამო დაგროვილი ვალები და გარემოს დაბინძურებაა. ეს ყველაფერი კი ცხოვრების ხარისხის გაუარესებაზე მეტყველებს.

მოხმარება იზრდება, რადგან ის თვითმიზნად იქცა, მაგრამ როცა ამერიკელებს ეკითხებიან, ბედნიერები არიან თუ არა, ამ კითხვას დადებითად მოსახლეობის მხოლოდ მესამედი პასუხობს, იმდენივე, რამდენიც 1957 წელს – იმის მიუხედავად, რომ შემოსავლები ამ პერიოდში ორჯერ გაიზარდა.

მომხმარებელთა ზრდა იმ რიტმს ემორჩილება, რომელსაც პლანეტა ველარ გაუძლებს. ამას გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსებისა და ტყეების განადგურება, გრუნტის წყლების პორიზონტების დეგრადაციაც ადასტურებს.

მკვლევართა განმარტებით, დღეს მსოფლიოს ურთ-ურთი უმთავრუსი ამოცანაა გააკონტროლოს მოხმარება.

### 4.3. მენეჯმენტი

ბიზნესის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მისი **მენეჯმენტი** ანუ მართვა. მენეჯმენტი, როგორც ასეთი, სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მას თავისი საგანი და ამოცანები გააჩნია, მაგრამ იგი ბიზნესისა და ბიზნესი კი მის გარეშე არც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მენეჯმენტი იმიტომ არსებობს, რომ სწორად და მიზნობრივად იმართებოდეს ბიზნესი, ბიზნესი კი თავისი არსებობით ქმნის ბაზას და საფუძველს მენეჯმენტისათვის.

მენეჯმენტი ეკონომიკური მეცნიერებაა, მაგრამ იგი ეკონომიკის ასპექტებთან ერთად შეისწავლის აგრეთვე: კიბერნეტიკულ, ფილოსოფიურ, სოციალურ-ფიქოლოგიურ, ეთიკურ, სამართლებრივ ასპექტებს და სხვ.

მენეჯმენტი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და მართვას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით მენეჯმენტი არის მეცნიერება მართვის შესახებ. მენეჯმენტი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელებისათვის შრომით რესურსებზე ზემოქმედებისა და მათი გამოყენების მართვის მექანიზმია. იგი მმართველობითი ურთიერთობების მთელი სისტემაა.

**მენეჯმენტი** ანუ მართვა-ეს არის სხვადასხვა ხასიათის ორგანიზაციული სისტემის (ბიოლოგიური, სოციალური, ტექნიკური) ელემენტი. ამ სისტემების შესაბამისად გამოიყოფა მართვის სამი ძირითადი სახე: ცოცხალ გარემოში, საზოგადოებაში, არაცოცხალ გარემოში. მართვის თითოეული ეს სახე რამდენიმე სახესხვაობად იყოფა.

საერთოდ, ყველა სისტემის მართვა ეს არის მასზე ზემოქმედების პროცესი, მისი გარკვეულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად ან ახალ მდგომარეობაში გადასაყვანად, ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ობიექტური კანონებისა და მიზნის მისაღწევად გაწეული საქმიანობის შესაბამისად. მართვაში იგულისხმება, რომ ზეგავლენას ახორციელებს ადამიანი და რომ მართვა შეგნებული მოქმედებაა და ყოველთვის ისახავს რაიმე მიზანს.

მართვის ყველაზე რთული სახე სოციალური მართვაა, ე.ი. ხალხის, კოლექტივების, კლასების (რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ინტერესი) საქმიანობისადმი ზემოქმედების პროცესი. არსებობს სოციალური მართვის სამი სახე: ეკონომიკური (წარმოების); სოციალურ-პოლიტიკური (სახელმწიფოს); საზოგადოების სულიერი ცხოვრების.

წარმოების მართვა მოიცავს მატერიალური და არამატერიალური სფეროს, რეგიონების, კორპორაციების, საწარმოების (ფირმების), დარგების მართვის პროცესებს.

მენეჯმენტის უდიდეს მნიშვნელობას ბიზნესის განვითარებაში ერთსულოვნად აღნიშნავთ საქვეყნოდ ცნობილი ბიზნესმენები და მენეჯერები, მეცნიერ-ექონომისტები, იურისტები, დემოგრაფები, სახელმწიფო მოღვაწენი, მწერლები და ჟურნალისტები.

მენეჯმენტის შემსრულებელია მენეჯერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ადამიანი და მისი უნარი და ინტელექტი განსაზღვრავს ბიზნესის მთელ ფილოსოფიას, მის წარმართვასა და განვითარებას.

საერთოდ, მენეჯერის მოვალეობაა: შეიმუშაოს და მიიღოს სამართველო გადაწყვეტილება, დაიყვანოს ის შემსრულებელზე, შეამოწმოს მათი შესრულება, შეიმუშაოს და განახორციელოს შემსრულებელთა სტიმულირების შესაბამისი სისტემა. თუ ზელმძღვანელი არ არის აღჭურვილი ამ უნარით, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მენეჯერად.

#### 4.4. ფინანსები

ფინანსები. როგორც მეცნიერება, შეისწავლის სხვადასხვა ექონომიკურ სისტემაში ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების შექმნის, მონაწილეობისა და გამოყენების პროცესს, დროის გარკვეულ პერიოდში და ამ პირობებში წარმოშობილ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ფინანსები, როგორც ისტორიული და ეკონომიკური კატეგორია, წარმოიშვა სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, როდესაც დაიწყო საზოგადოების კლასებად დაყოფა,. საუკუნოების მანძილზე თანდათან გამოიკვეთა ფინანსური ურთიერთობების ფულადი ხასიათი, როგორც მისი დამახასიათებელი თვისება.

ფინანსური ურთიერთობები, როგორც ფულადი ურთიერთობები, იქმნება:

- საწარმოებს შორის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეძენისა და მზა პროდუქციისა და მომსახურობის რეალიზაციის პროცესში;
- საწარმოებს და მათ ზემდგომ ორგანიზაციებს შორის ცენტრალიზებული ფონდების შექმნა-განაწილების პროცესში;
- სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ერთის მხრივ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების (გადასახადების გადახდა) და მეორეს მხრივ-საწარმოს წინაშე სახელმწიფო ვალდებულებების (ხარჯების დაფინანსება) შესრულების პროცესში;
- საწარმოებს, საოჯახო მეურნეობებსა და არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს შორის, რესურსების მიღებისა და გადასახადების გადახდის პროცესში;
- ცალკეული საბიუჯეტო დაწესებულებებს შორის;
- სადაზღვევო ორგანიზაციებსა და საწარმოებსა და მოქალაქებს შორის;
- სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ანგარიშსწორებისა და ფინანსური რესურსების განაწილების პროცესში.

საერთოდ. სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფულადი შემოსავლებისა და ფონდების მატერიალური წყაროებია: ეროვნული სიმდიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი ფინანსებს სამი საყრდენი გაჩნია: ფულადი სახსრების გამოყენების ოპტიმიზაცია, აქტივების ღირებულება, რისკის მართვა

ფინანსებს გაჩნია თავისი ფუნქციები, კერძოდ:

1. გამანაწილებლობითი—ამ გზით იქმნება: საბიუჯეტო ფონდები, წარმოების საშვალებების ფონდები. მოხმარების საგნების ფორმები.
  2. მაკონტროლებელი—ვლინდება ერთობლივი ეროვნული შემოსავლის და სხვა წყაროების შესაბამის ფონდებში მოქცევისა და მისი მიზნობრივი ხარჯების კონტროლში.
- ამ ფუნქციებთან ერთად, როგორც მეცნიერები მიჩნევენ, ფინანსებს გარჩნდა საწარმოო, მასტიმულირებელი მარეგულირებელი და სხვა ფუნქციებიც.

#### 4.5. ბიუჯეტი

ბიუჯეტი, ფინანსების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სიტყვა „ბიუჯეტი“ ფრანგული წარმოშობისაა, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. შემდეგ იგი ინგლისელებმა გადააკეთეს და ტომრის მნიშვნელობა მისცეს, რომელიც შეიცავს ანგარიშებს.

თანამედროვე გაგებით-ბიუჯეტი არის ფულად ფორმაში გამოხატული სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სისტემა.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმა მიმდინარე წლისთვის, რომელსაც კანონის ძალა აქვს და რომლის ფულადი სახსრები გამოიყენება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების შესარულებლად.

ბიუჯეტი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან.

1. შემოსავლები;
2. გასავლები

შემოსავლებში თავს იყრის გადასახადები. სახელმწიფო, მ.შ. საგარეო სესხები.

ბიუჯეტის ფუნქციებია:

- ერთობლივი ეროვნული პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილება;
- ეკონომიკის სახელმწიფო ბრიტანეთის რეგულირება და სტიმულირება;
- სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა;
- ფულადი სახსრების ცენტრალიზაციული ფონდების ფორმირებისა და გამოიყენების კონტროლი.

ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია ხდება სხვასხვანით.

- შემოსავლის წყაროს მიხედვით ის იყოფა:
- გადასახადები იურიდიული პირებისაგან;
  - გადასახადები მოსახლეობისაგან;
  - სესხები;
  - შემოსავლები სახელმწიფო საკუთრების რეალიზაციიდან. ამოღების მეთოდების მიხედვით:
  - საგადასახადო და არა საგადასახადო შემოსავლები. გადასახადის სახეების მიხედვით:
  - გადასახადი კორპორაციათა (სამეწარმეო ფორმირებებიდან) მოგებიდან;
  - დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
  - აქცია;
  - საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებისგან და ა.შ.

**ბიუჯეტის ხარჯები** იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. **მიმდინარე ხარჯები** გამოყოფა იურიდიულ პირებს, მიმდინარე მოთხოვნების დასაფინანსებლად (საქონლისა და მომსახურების შეძენა; ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო საწარმოების შენახვა; მართვისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუფსიდიები; სახელმწიფო ვალის პროცენტური გადახდა და სხვა).

**კაპიტალურ ხარჯებს** მიეკუთვნება ფულადი დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია ძირითად კაპიტალ დაბანდებასთან და მოგების ზრდასთან.

ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯები იყოფა აგრეთვე უწყებრივი და მიზნობრივი ნიშნით. აქ იგულისხმება მათი დარგობრივი და ტერიტორიული დაყოფაც.

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებით ფინანსდება შემდეგი ხარჯები:;

1. ინვესტიციები საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტებზე;
2. გარემოს დაცვის, გეოლოგიურ-სადაზღვერო და საძიებო, ტექნიკური მოვლისა და აღდგენის, სასოფლო-სამეურნეო პიდრომელიოლაციურ, საერთო-სახელმწიფოებრივ პროგრამებზე;
3. მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივ პროგრამებზე;
4. სხვა სახელმწიფოებრივ მიზნობრივ პროგრამებზე;
5. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე;
6. განათლების, მეცნიერების, კულტურის, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების;
7. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროგრამებზე;
8. სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე;
9. სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების შექმნასა და შეესტებაზე;
10. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების და კონტროლის პალატის (აუდიტის სამსახურის) შენახვაზე;
11. თავდაცვისა და სასაზღვრო ჯარების ხარჯები;

12. ბანკის კრედიტებისა და სახელმწიფო ვალის დაფარვაზე, აგრეთვე მათ მომსახურებაზე;
13. საქართველოს პრეზიდენტის ფონდი, სახელმწიფო სარეზერვო ფონდი, აგრეთვე სხვა მასობრივი საბიუჯეტო ფონდებისა და რეზერვების შექმნაზე;
14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის საბიუჯეტო სესხებზე და მიზნობრივ ტრანსფერუნტებზე;
15. სახელმწიფო კანონმდებლობით განხორციელებულ სხვა ღონისძიებებზე.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია **ბიუჯეტგარეშე ფონდები**, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში არსებული ფინანსური სასსრების ერთობლიობას და რომელსაც გაჩნია მიზნობრივი დანიშნულება.

ამჟამად, საქართველოში არსებობს შემდეგი ბიუჯეტგარეშე ფონდები: საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი; ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი.

ბიუჯეტგარეშე ფონდების შემოსავლებია;  
**-სოციალური მიზნობრივი გადასახადები და მოსაქრებლები;**  
**-საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხები;**  
**-ბიუჯეტის სახსრები;**  
**-იურიდიული პირების კომერციული საქმიანობიდან შემოსავლები;**  
**-ბანკიდან მიღებული სესხები.**

## 4.6. პრედიტი

საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაოფილება შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით. ამიტომ, ხელისუფლება მიმართავს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხების მობილიზაციას სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით.

სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობას სახელმწიფოსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. იგი გადასახადებისაგან განსხვავებით ნებაყოფლობითია.

კრედიტი ლათინური სიტყვაა და პირდაპირი გაგებით სესხს, ვალს ნიშავს.

ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლები, რომლებიც მიიღება სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით, თავისი მოცულობით მეორე ადგილზე გადასახადების შემდგ.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, ორნაირი ასპექტით განიხილება: აქტიური, როცა სახელმწიფო გამოდის კრედიტორის როლში და პასიური-როცა იგი გამოდის მსესხებლის როლში.

დაკრედიტების ძირითადი პრიციპებია:

დაბრუნებადობა;

ვადიანობა;

მიზნობრივობა;

უზრუნველყოფადობა (მატერიალური ფასეულობით);

ანაზღაურებადობა.

კრედიტის ფუნქციონირება გამოხატულებას პოულობს მის ფორმები. კრედიტის ფორმებია; კომერციული, საბანკო, მურნეობათაშორისი, სამომხმარებლო, სასოფლო-სამურნეო, იპოტეური, სახემწიფო და საერთაშორისო.

კრედიტი ორ ფუნქციას ასრულებს:

- ფისკალურს-სახელმწიფო კრედიტით ხდება ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირება, რითაც ხდება გაწეული ხარჯების დაფინანსება;
- მარეგულირებელს-გამოიყენება ხელისუფლების მიერ ფულის მომქევვის რეგულირებისათვის. მოსახლეობისაგან სახსრების მობილიზაციით, ავიწროვებს რა მათ გადახდისუნარიანობას, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, აფართოებს წარმოებას.

სახელმწიფო კრედიტის კლასიკური ფორმაა სახელმწიფო სესხების გამოშვება. ცნობილია სახელმწიფოს შინაგანი სესხების ორი ფორმა:

სახელმწიფო სესხები, რომელიც მიეყიდება მოსახლეობას და საკულტურული დაწესებულებებს;

მოსახლეობის ანაბრების ნაწილის მიმოქცევას შემნახველ ბანკებში, სალაროებში და სახელმწიფო სესხებში.

სახელმწიფო ფულადი სახსრების აკუმულაცია ხდება აგრეთვე ობლიგაციების გაყიდვითაც. ობლიგაცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც წარმოადგენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულებას (პროცენტის მიცემით). ობლიგაცია ვარგისა ყიდვა-გაყიდვისთვისაც.

არსებობს სახელმწიფო სესხების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ემისიის უფლების მიხედვით სესხები იყოფა: ცენტრალური მთავრობის მიერ გამოშვებული სესხები და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული სესხები;
2. განთავსების ადგილის მიხედვით—შინაგან და საგარეო სესხებად;
3. შემოსავლების მიხედვით—პროცენტულ და ლატარიულ სესხებად;
4. დაფარვის ვალების მიხედვით—მიმდინარე, მოკლევადიან, საშუალოგადინ, გრძელვადიან და უვალო სესხებად.
5. განთავსების მეთოდის მიხედვით—ნებაყოფლობით და იძულებით სესხებად.

#### 4.7. დაზღვევა

დაზღვევა ფინანსური კატეგორიის ორგანული შემადგენელი ნაწილია. იგი მხოლოდ განაწილებითი ურთიერთობის სფეროს მოიცავს. ას დიდი ხნის ისტორია აქვს.

დაზღვევა, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებულ სფეროს, როცა მიზნობრივი ფულადი ფონდების (სახსრების) ფორმირებისა და გმირების გზით ხდება სხვადასხვა მოვლენის მიზეზით გამოწვეული სადაზღვეო შემთხვევისაგან იურიდიული და ფიზიკური პირების ქონებრივი ინტერესების დაცვა.

იგი არის რისკის ხარისხის შემცირების ძირითადი მეთოდი.

სავალდებულო წესით ხორციელდება:

1. ქონების (საკუთრებული სახლები, შენობები, პირუტყვი) დაზღვევა;
2. იჯარით გაცემული შენობა-ნაგებობების დაზღვევა;
3. მგზავრთა დაზღვევა (საავიაციო, სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, სავტომობილო ტრანსპორტზე);
4. სამედიცინო დაზღვევა;
5. დანარჩენი სახის ქონებრივი და პირადი დაზღვევა ხდება ნებაყოფლობის საფუძველზე.

პირადი დაზღვევა მოიცავს შემდეგს: დედის, ბავშვთა, საქორწინო, სიცოცხლის, ხანდაზმულობის უზრუნველყოფის, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა.

#### 4.8. ფინანსური პონტოლი

ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა დონის კონტროლი, აგრეთვე საგანგებოდ შექმნილი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური საქმიანობის შემოწმება.

ფინანსური კონტროლი, ერთის მხრივ ფინანსების მართვის და-მამთავრებელი სტადია, მეორეს მხრივ კი-ფინანსების ეფექტიანი მა-რთვის აუცილებელი პირობა.

ფინანსური კონტროლის ზირითადი ამოცანებია:

სახელმწიფო ხარჯების სახსრების სისწორის შემოწმება;

სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდღროულობის დადგენა.

საფინანსო სისტემის ყველა რგოლში გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების კანონიერების შემოწმება;

აღრიცხვა-ანგარიშგების კანონების დაცვის შემოწმება.

ფინანსური კონტროლი ჩატარებისა ვადებისა და მეთოდების მიხედვით იყოფა სამ სახედ: წინასწარი, მიმდინარე (ოპერატორი)და შემდგომი კონტროლი. არსებობს თემატური შემოწმებაც.

ფინანსური კონტროლის ორგანოებს მიეკუთვნება:

- პარლამენტი;
- სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სპეციალური უწყებები (კონტროლის პალატა, საგადასახადო ინპექცია, საბაჟო სამსახური);
- ფინანსთა სამინისტრო;
- დარგობრივი სამინისტროები და დეპარტამენტები.

შედარებით ახალი ფორმაა აუდიტორული კონტროლი.

აუდიტორული ორგანიზაციები (ფორმები) კომერციული ანგარი-შის პრინციპით მუშაობენ და რევიზია-შემოწმებას ატარებენ ხელშე-კრულების საფუძველზე.

უკრაინის „აგრარულ—ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)

- I. ზოგადი მიწათმოქმედება.
- II. მემცნარეობა.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა.
- IV. ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა.
- VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
- VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობა.
- XII. ვეტერინარია.
- XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. ეკონომიკა და ბიზნესი.
- XV. აგრარული ეკონომიკა.
- XVI. ეკონომიკური ორიენტირება.
- XVII. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
- XVIII. მსოფლიო ეკონომიკა.
- XIX. ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
- XX. საკონსულტაციო დარბაზი.
- XXI. სადისკუსიო კლუბი.
- XXII. უწყვეტი სწავლების დარბაზი.
- XXIII. საინფორმაციო მაცნე.
- XXIV. აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
- XXV. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
- XXVI. სიტყვა აკადემიკოსს.
- XXVII. დოქტორანტური აზრი.
- XXVIII. ბაკალავრთა დარბაზი.
- XXIX. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
- XXX. საკითხის დასმა.

<b>1. აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy .....</b>	<b>5</b>
ომარ ქეშელაშვილი-მარცლეული მეურნეობის განვითარების საერთო და მარკეტინგული სტრატეგია და ძირითადი ამოცანები; შესაძლო რისკები და რისკ-მენეჯმენტი; ძლიერი და სუსტი მხარე- ები და წარმოების შესაძლებლობები .....	5
<b>O. Keshelashvili- General Market Strategy and Goals of Grain Culture Development; Possible Risks and Risk-management; Strong and Weak Aspects of Production Opportunities .....</b>	<b>12</b>
დალი სილაგაძე-აგრარული სექტორის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები .....	13
<b>Dali Silagadze- Problems of agrarian sector and ways of solving it</b>	<b>17</b>
ზეინაბ ახალაძე-სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გზები იმერეთის რეგიონში.....	18
<b>Zeinab Akhaladze - Progresses of an agricultural production in Imereti region .....</b>	<b>24</b>
<b>2. ვაშიტრუსეობა და სეზონური კულტურები- Citruse and Subtropical crops .....</b>	<b>25</b>
გიორგი ხომასურიძე-მეტეოროლოგიური მოვლენების გავლენა საქართველოს ციტრუსის ნარგავებზე .....	25
<b>Giorgi Khomasuridze-Effects of Meteorological Events on Citrus Plants .....</b>	<b>31</b>
<b>3. უფლებელი სტაციონარული დარბაზი- Continuous Studying Hall(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) .....</b>	<b>32</b>
ლექცია 20 ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი .....	32
20.3. მენეჯმენტის სრულყოფის სპეციფიკური ეკონომიკური მახასიათებლები და მათი განსაზღვრა .....	32
23.3.1. ფერმერული მეურნეობის მიმართულების (სპეციალიზაციის) განსაზღვრა .....	32
20.3.2. ფერმერული მეურნეობის სიდიდის დადგენა .....	35
20.3.3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებულად მომგებიანი მოსავლიანობის დონის განსაზღვრა .....	36
20.3.4. ძირითადი ფონდების ამორტიზაციის გაანგარიშება .....	38
20.3.5 კრედიტის მიღების წესი და მასზე მოთხოვნილების გაანგარიშება .....	40
20.3.6. საქონელზე ფასის დაწესება .....	44
20.4. ფერმერული მეურნეობის აღრიცხვის სისტემა .....	47

20.4.1. აღრიცხვის საკუთარი სისტემა .....	47
20.4.2. აღრიცხვის კომპიუტერიზაცია .....	48
20.5. ფერმერული მეურნეობის მდგრადობისა და მენეჯმენტის ეკონომიკური შეფასება .....	50
20.5.1. ფერმერული მეურნეობის მდგრადობისა და გადახდისუნა- რიანობის შეფასება .....	50
20.5.2. ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის ეკონომიკური შეფასება .....	52
<b>4. ტერმინები-Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) ....</b>	<b>54</b>
4.1. მარკეტინგი .....	54
4.2. მომხმარებლის არჩევანის თეორია .....	57
4.3. მენეჯმენტი .....	58
4.4. ფინანსები .....	60
4.5. ბიუჯეტი .....	62
4.6. კრედიტი .....	65
4.7. დაზღვევა .....	67
4.8. ფინანსური კონტროლი .....	68
<b>შინაარსი-CONTENTS .....</b>	<b>70</b>

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღები სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx—11; 1,0 ინტერვალზე). სათაური LitMtavrPS—11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0.);, ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად.

### 2018 წლის IIIკვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გმოსაშვილი-ტექნიკის აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

### ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშლაშვილი.

### ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მსარდამჭერები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 4.0

პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 4.5